პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—11.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—11.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 8.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

საქსონიაში მოხდა გადატრიალება. ცენტრალურმა მთავრობამ იქ დანიშნა თავისი კომისარი.

ბავარიის დიქტატორმა კარმა გამოაცხადა ბავარიის მთავრობა სრულიად გერმანიის მთავრობათ.

გერმანიის პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს ბავარიაში მომხდარ გადატრიალების შესახებ.

სრულიად რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირმა მოწოდება გამოუშვა იაპონიის უკანასკნელი მუხანათური მოქმედების შესახებ

№ 251 ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400.000 მან. № 251

გაზეთ „კომუნისტი"-ს კანტორისაგან
რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული.

კანტორა ამით აცნობებს ყველა ხელის მომწერლებს, რომ ნოემბერში გაზ. „კომუნისტ"-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

თვიური ხელის მოწერა ტფილისში

შინ მიტანით . . .	11.000.000 მან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის	11.500.000 მან.
კოლექ. ხელის მოწ. მხოლოდ მუშებ.	8.000.000 მან.

ჟურნალ „ნიანგი"-ს ფასები:

თვიური ხელის მოწერა ყველასათვის	2.000.000 მან.
ერთი ეგზემპლიარი . . .	1.000.000 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს ხვედრი ფული თავის დროზე შემოიტანონ, ვინაიდან გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი, წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს, რომ 2 ნოემბერს,

ერთიან პარტიულ დღეს

უჯრედების ღია კრებებზე წითელ არმიელთა ნაწილების თანადასწრებით დასმულ იქნეს დღის წესრიგში საკითხი

ოქტომბრის რევოლიუციის მე-6-ე წლის თავის შესახებ.

მასალებათ გამოყენებული იქნეს რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის თეზისები.

ტფ. კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა"-ს ცნობები).

ფაშისტური გადატრიალება საქსონიაში: პრეზიდენტ ებერტმა ბრძანება გასცა საქსონიის მთავრობის გადაყენების შესახებ. საქსონიაში დაინიშნა ცენტრალური მთავრობის კომისარი.

რეიხსვერმა დაიჭირა საქსონიის მთავრობის შენობა და სამინისტროებიდან დაითხოვა ყველა მინისტრები.

გადატრიალების გარშემო: სოციალ-დემოკრატების ორგანო „ფორვერტსი" მოუწოდებს ცენტრალურ მთავრობას დაემყაროს ისევ სოციალ-დემოკრატიას.

გერმანიის პრესა დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამს საქსონიაში მომხდარ გადატრიალების გამო.

ცენტრალური მთავრობა და ბავარია: ბავარიაში მოელიან ახალი მთავრობის შედგენას კარის მეთაურობით. ბავარიამ გადასწყვიტა პასუხი არ გასცეს ცენტრალურ მთავრობის მოთხოვნილებას.

ფაშიზმის თარეში: ბავარიის დიქტატორმა კარმა გამოაცხადა ბავარიის მთავრობა სრულიად გერმანიის მთავრობათ.

ფაშისტური გადატრიალება საქსონიაში

ებერტის ბრძანება საქსონიის მთავრობის გადადგომის შესახებ.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. გერმანიის პრეზიდენტმა სოციალ-დემოკრატმა ებერტმა გამოაქვეყნა ბრძანება საქსონიის კაბინეტის და საქსონიის მთავრობის ყველა უმაღლეს მოხელეების გადაყენების შესახებ.

შტრეზემანის ჯალათი მუშაობს.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. ცენტრალურმა მთავრობამ დანიშნა იუსტიციის ყოფილი მინისტრი გეინცე (სახალხო პარტია) საქსონიის საიმპერიო კომისრათ.

წერილში საქსონიის პრემიერ ციგნერისადმი გეინცემ მოითხოვა საქსონიის კაბინეტის დაუყოვნებლივ გადადგომა. გეინცეს ბრძანებით რეიხსვერმა დაიკავა დრეზდენში საქსონიის სამინისტროების და ლანდტაგის შენობა და გამოასახლა პრემიერი ციგნერი და სხვა მინისტრები სახაზინო შენობებიდან. ციგნერმა გადასწყვიტა მიმართოს პროტესტით სახელმწიფო საბჭოს (რეიხსრატს).

პირველი ნაბიჯი დამახასიათებელია.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. საიმპერიო კომისარმა ჰეინცემ წინადადება მისცა გენერალ მიულერს დახუროს საქსონიაში ყველა კომუნისტური გაზეთები.

მუშები მოითხოვენ გაფიცვას.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. ხემნიცში კომპარტიამ და სოციალ-დემოკრატებმა დაადგინეს მოსთხოვონ დრეზდენის პარტიულ ორგანიზაციებს, რათა ამ უკანასკნელებმა გამოაცხადონ საერთო გაფიცვა. მუშები მომხრე არიან გაფიცვის.

კომუნისტები მოუწოდებენ გადამჭრელ ბრძოლისაკენ.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. უკანასკნელი ცნობების მიხედვით საქსონიის კომუნისტები მოუწოდებენ მუშებს დაუყოვნებლივ შეიარაღდენ რეიხსვერის შემოტევის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის.

დაწვრილებითი ცნობები გადატრიალების შესახებ

როგორ „დააკანონა" სოც.-დემოკრატმა ებერტმა საქსონიის კაბინეტის დაშლა.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. ვინაიდან საქსონიის მთავრობის დაშლის უფლება ეკუთვნის საქსონიის სახელმწიფოებრივ საბჭოს და სანამ ამ უკანასკნელს არ გამოუტანია სათანადო დადგენილება, კაბინეტი უნდა დარჩეს ძალაუფლების სათავეში, პრეზიდენტმა ებერტმა გამოსცა სპეციალური დეკრეტი, რომელიც უფლებას ანიჭებს შტრეზემანს დაშალოს საქსონიის კაბინეტი და საქსონიის ხელისუფლების სხვა ორგანოები. შტრეზემანმა თავის მხრივ გადასცა ეს უფლება საქსონიაში დანიშნულ საიმპერიო კომისარს გეინცს და საქსონიაში მყოფ რეიხსვერის სარდალს, გენერალ მიულერს.

გეინცის დანიშვნის შემდეგ, გუშინ გენერალ მიულერის შტაბის კაპიტანმა ოლბრიხმა ინახულა საქსონიის პრემიერი ციგნერი და გადასცა მას და სხვა მინისტრებს გეინცის და მიულერის ბრძანება გაწმინდონ მთავრობის შენობები და ჩააბარონ ხელისუფლება.

მაშინვე ამის შემდეგ დრეზდენის ყველა სამთავრობო შენობები გარეშემორტყმული და დაკავებული იქნენ რეიხსვერის მიერ.

საქსონიის მთავრობის დაშლის შესახებ გამოცემულ ბრძანებასთან ერთად გენერალმა მიულერმა გამოაქვეყნა ბრძანება, რომელიც კრძალავს საქსონიის ლანდტაგის მოწვევას და ამის უფლებას უტოვებს მხოლოდ საიმპერიო კომისარს გეინცს. ამგვარად გენერალმა მიულერმა თავისი ბრძანებით დაამსხვრია საქსონიის პრემიერის ციგნერის გეგმები, რომლის თანახმად ის აპირებდა ცენტრალური მთავრობის ულტიმატუმის გადაცემას ლანდტაგისათვის, ვინაიდან, როგორც ციგნერმა განაცხადა, მხოლოდ ლანდტაგს შეუძლია გადასჭრას საკითხი საქსონიის კაბინეტის გადადგომის შესახებ და მთავრობაც პასუხისმგებელია მხოლოდ მის წინაშე.

გადატრიალების შემდეგ

თათბირი საყოველთაო გაფიცვის შესახებ.

ბერლინი. 30 ოქტ. დრეზდენიდან მიღებულ უკანასკნელი ცნობების თანახმად, საქსონიის კომუნისტებს, სოციალ-დემოკრატებს და პროფკავშირებს ჰქონდათ თათბირი საქსონიაში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ. (ეს წინადადება შეიტანეს კომუნისტებმა).

ამასთანავე ერთად სრულიად გერმანიის 3 დიდი პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტებმა ბერლინში მოიწვიეს სხდომა, რომელზედაც იხილავდენ ცენტრალურ მთავრობის მოქმედებას საქსონიის კაბინეტის მიმართ. სხდომაზე აღნიშნავდენ აგრეთვე შტრეზემანის კაბინეტის სულგრძელობას ბავარიის მთავრობისადმი, რომელმაც, საქსონიის მთავრობის წინააღმდეგ დაარღვია კონსტიტუცია და აშკარა ბრძოლა გამოუცხადა ცენტრალურ მთავრობას, სცდილობს რა მის დამხობას.

თათბირის შედეგები ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

ესდეკები თავს იმართლებენ.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. შტრეზემანის კაბინეტის სოციალ-დემოკრატი მინისტრები აცხადებენ, რომ კაბინეტის გადაწყვეტილება საქსონიის წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ, მიღებული იქნა მათი თანხმობის გარეშე. იუწყება რა ამ განცხადების შესახებ მემარჯვენე სოც.-დემოკრატების ორგანო „ფორვერტსი" ამბობს, რომ მოსალოდნელია ცენტრალურ მთავრობიდან სოციალ-დემოკრატების გასვლა.

ბერლინი. 30 ოქტ. საიმპერიო კომისარის ჰეინცის მოთხოვნის გამო, მიუხედავათ სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს პროტესტის და განცხადებისა, რომ მთავრობის რწმუნებათა გაუქმება მხოლოდ ლანდტაგს შეუძლია, საქსონიის მთავრობა გადადგა.

ბერლინის სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, რომ ლანდტაგი მოწვეული იქნება მხოლოდ ქვეყნის დამშვიდების შემდეგ.

ჰეინცმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აცხადებს, რომ მისი პირველ ამოცანას წარმოადგენს სამშობლოსადმი ყველა ერთგულ მოქალაქეთა გაერთიანება და პარლამენტარულ საფუძველზე ახალ მთავრობის შექმნა. დროებით ქვეყნის მართვა-გამგეობისთვის დანიშნულია ექვსი მოხელე.

საიმპერიო კომისარის მოწოდების გამოქვეყნებასთან ერთათ ყველა კავშირებმა და აგრეთვე სოციალ-დემოკრატიულმა და კომუნისტურმა პარტიებმა გამოუშვეს მოწოდება, რომელშიაც პროტესტის ნიშნათ ციგნერის კაბინეტის ჩამოგდების წინააღმდეგ, მოითხოვენ 3 დღის საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას.

რეიხსვერის სარდლობამ აკრძალა ამ მოწოდების გავრცელება.

საქსონიის წინააღმდეგ ცენტრალურ მთავრობის ენერგიულ გამოსვლის გამო, დიდი კოალიციის მთავრობის მდგომარეობა მერყევია. ხმები ცენტრალურ მთავრობის შემადგენლობიდან სამი სოციალისტის გამოსვლის შესახებ, ჯერ დამოწმებული არ არის.

გადატრიალების გარშემო

შტრეზემანის ულტიმატუმი საქსონიის მთავრობის მიერ უარყოფილია

ბერლინი. 28 ოქტომბერი. საქსონიის მთავრობამ დაადგინა უარყოს შტრეზემანის ულტიმატუმი. საბოლოო დადგენილებას გამოიტანს ლანდტაგი, რომელიც მოწვეულია სამშაბათისათვის.

კაბინეტის დადგენილება გამოტანილი იყო კომუნისტ-მინისტრთა დაუსწრებლათ, რომლებიც იმ დროს სხვაგან იყვნენ გამგზავრებული.

მენშევიკები ყოყმანობენ

ბერლინი. 28 ოქტომბერი საქსონიის სოციალ-დემოკრატებზე გავლენის მოხდენათ დრეზდენში ჩამოვიდნენ ჰილფერდინგი, დიტმანი და ზოლმანი. ჩამოსულთა და ციგნერს შორის გამართულ თათბირის შემდეგ საქსონიის მთავრობამ დაადგინა არ მიიღოს ჯერჯერობით თავდაცვის პრაქტიკული ზომები.

კომუნისტ-მინისტრების წინადადება.

ბერლინი. 28 ოქტომბერი. „როსტა"-ს კორესპონდენტს სრულიად სანდო წყაროებიდან აცნობებენ, რომ კომუნისტ-მინისტრები არ გადადგებიან.

კომუნისტებმა შემდეგი წინადადება მისცეს მთავრობას: **მიმართონ გერმანიის პროლეტარიატს მოწოდებით საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ. შექმნას სამხედრო აღმასრულებელი კომიტეტი**, რომელშიაც შევიდნენ მთავრობის, ორთავე პარტიისა და პროფკავშირთა წარმომადგენლები, **გაგზავნოს ბერლინში დეპუტაცია სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებასთან მოლაპარაკების გასამართავათ. საქსონიის მთავრობამ ეს წინადადებები უარყო.**

სრულიად გერმანიის ფაშისტური მთავრობის მოლოდინში

კარის ახალი მთავრობის მიმართვა გერმანიის ცალკე სახელმწიფოებისადმი.

ბერლინი. 30 ოქტომ. მიუნხენიდან მიღებულ უკანასკნელი ცნობების მიხედვით, კარმა, ჰიტლერის გეგმის თანახმად, გამოაცხადა ბავარიის მთავრობა სრულიად გერმანიის მთავრობათ და მიმართა გერმანიის ყველა სახელმწიფოებს წინადადებით იცნონ ეს გამოცხადება, ასეთი მდგომარეობა სახებით დახაზულია, რადგანაც კარი დიქტატორის პოსტის მიღების დღიდანვე მიზნათ ისახავდა ამას.

ბავარიაში დგება სრულიად გერმანიის ახალი მთავრობა კარის მეთაურობით.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. საქსონიაში მიმდინარე ამბებთან ერთად, ბავარიაში იწყება ახალი სერიოზული ამბები და მღელვარებანი. ბავარიის მთავრობა დღემდე არ ააშკარავებს იმას, თუ რა გზას დაადგება ცენტრალური მთავრობის უკანასკნელი ნოტის გამო. ბერლინში ვრცელდება ხმები, მიღებული საკმაოდ კომპეტენტურ წრეებიდან, რომ ბავარიაში სულ ახლო მომავალში შედგენილ იქნება სრულიად გერმანიის ახალი მთავრობა კარის მეთაურობით.

ბავარიაში მდგომარეობა გართულდა.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. მიუნხენიდან მიღებულ უკანასკნელი ცნობებით, კონფლიქტი ბავარიისა და ცენტრალურ მთავრობის შორის გართულდა. ბავარიის სახალხო პარტიამ კარის პოზიცია მოიწონა.

ფაშიზმის თარეში

რეიხსვერის თავხედობა.

ბერლინი. 29 ოქტ. მიულერის თავდასხმა საქსონიის მუშათა მთავრობაზე დღითი დღე ძლიერდება. მიულერმა ბრძანება გასცა დატუსაღებულ იქნენ საქსონიის მთავრობის მიერ დანიშნული ყველა კომისრები; მიულერი მათ ბრალსა სდებს იმაში, რომ თითქოს ისინი წინასწარ ატყობინებდენ გადამალულ იარაღის საწყობების მეპატრონეთ მოსალოდნელ ჩხრეკის შესახებ.

შემდეგ მიულერმა რეიხსვერის დახმარებით დაიჭირა დრეზდენის პოლიციის სამმართველო და მოითხოვა იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზაცია და აგრეთვე მასწავლებელ-მოხელეების დათხოვნა; ამ უკანასკნელებს **მიულერი ბრალსა სდებს აგიტაციის გაწევაში საერთო გაფიცვის სასარგებლოთ** და აგრეთვე პროლეტარულ რაზმების შედგენაში.

საქსონიაში ყველგან სწარმოებს ჩხრეკა—ეძებენ იარაღს. ფრეიბერგში, საერთო გაფიცვის გამო, რეიხსვერის ნაწილები დადიოდენ ქუჩებში. ერთერთ ქუჩაზე რეიხსვერის ნაწილებმა ასტეხეს სროლა ტყვიისმფრქვეველებიდან. სროლის დროს მოკლულია 14, მძიმეთ დაჭრილია 40. დაჭრილების აკრეფის დროს სანიტარების მიერ რეიხსვერმა ასტეხა ხელახალი სროლა, რომლის დროსაც მოკლულია 8. **ასეთი შეტაკებები საქსონიაში ხდება თითქმის ყოველდღე.**

მდგომარეობა გერმანიაში

ამხ. ზინოვიევი სწერდა ამას წინედ მოსკოვის „პრავდა"-ში, რომ გერმანიის ცენტრალური მთავრობა დაკოჭლდა ორივე ფეხით: მარჯვნივ თეთრი ბავარია და მარცხნივ წითელი საქსონია.

დღევანდელი რადიო გადმოგვცემს, რომ შტრეზემანის კაბინეტმა მოსპო „მარცხენა ფეხის სიკოჭლე": წითელი საქსონია უკვე აღარ არსებობს.

პრეზიდენტმა სოციალ-დემოკრატ ებერტმა კიდევ ერთი უმძიმესი დანაშაულობა მიუმატა თავის „საგმირო საქმეების" კომპლექსს: მან გამოაქვეყნა ბრძანება საქსონიის კაბინეტის დათხოვნის შესახებ.

გერმანიის ცენტრალურმა მთავრობამ საქსონიის საიმპერიო კომისარად დანიშნა იუსტიციის ყოფ. მინისტრი, სახალხო პარტიის წარმომადგენელი გეინცე, რომლის განკარგულებით რეიხსვერმა დაიკავა საქსონიის სამინისტროების ლანდტაგის შენობები და იქიდან გააძევა ციგნერი და სხვა მინისტრები.

ამასთან გეინცემ აკრძალა ყველა კომუნისტური გაზეთების გამოცემა საქსონიაში.

ამნაირად, სრული კონსტიტუციონური წესების დაცვით შემდგარი საქსონიის მთავრობა „კონსტიტუციონურივე" გზით, უცერემონიოდ იქნა გარეკილი რეიხსვერის ხიშტებით. საქსონიაში არსებითად დამყარდა ფაშისტური დიქტატურა. ამით ბურჟუაზიამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ კონსტიტუცია, პარლამენტარიზმი და სხვა ასეთები უბრალო ქაღალდის ნაგლეჯია, როცა პარლამენტარიზმის აპარატით შეუძლებელია მისი ბატონობის შენარჩუნება; მაშინ ძალაში შედის გაშიშვლებული ხიშტი, რომელსაც ის ანდობს საკითხის გადაჭრას.

აქ საგულისხმო ის არის, რომ ბერლინის „დემოკრატიული" მთავრობა, სოციალ-დემოკრატების ლოცვა-კურთხევით და აქტიური მონაწილეობით, ასეთ „სიყოჩაღეს" იჩენს წითელი საქსონიის მიმართ, ხოლო ცოტად თუ ბევრად გადაჭრილ ნაბიჯებს არ სდგამს ფაშისტური ბავარიის წინააღმდეგ, რომელმაც აშკარად აიგდო შტრეზემანის კაბინეტი. ეს უკანასკნელი აქ ისეთი უძლური გამოდგა, რომ ერთი ფაშისტური გაზეთის დახურვაც კი ვერ მოახერხა, და დიქტატორ კარს და გენერალ ლოსოვს სასაცილოდ არ ყოფნით ბერლინის მთავრობის განკარგულებანი.

შტრეზემანი ასეთ მაგარ კურსის [illegible]ლებას საქსონიისადმი, ერთი მხრივ, და კეთილგანწყობილებას ბავარიისადმი, მეორე მხრივ, იმით ხსნის, რომ საქსონიის მთავრობა თითქო არღვევს ქვეყნის მშვიდობიანობას მაშინ, როცა ბავარიაში „საქმე ეხება მხოლოდ უბრალო კონსტიტუციონურ უთანხმოებათ".

ჩვენ არ გამოუდგებით აქ ბ. შტრეზემანის „არგუმენტაციის" დარღვევას. მისი უსაფუძვლობა და თვალთმაქცობა ისედაც ნათელია.

აშკარაა თავის თავად, რომ შტრეზემანის კოალიციონური მთავრობა ის გარდამავალი საფეხურია მთელ გერმანიაში ფაშისტური გადატრიალების მოსახდენად. ამ გზაზე ეღობებოდა წითელი საქსონია, და მას ბოლო მოუღეს.

ამასთან აღსანიშნავია ის ცნობა, რომ კარმა ბავარიის მთავრობა გამოაცხადა სრულიად გერმანიის მთავრობად და წინადადებით მიმართა გერმანიის ყველა სახელმწიფოებს იცნონ ის ასეთად.

გერმანულ პრესის რადიოს ეს ცნობა თუმცა არ არის ჯერ დადასტურებული, მაგრამ იგი სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს, თუ მივიღებთ მხედველობაში კარის მისწრაფებას და ბავარიაში შექმნილ მდგომარეობას.

ამგვარად გერმანიის ცენტრალური მთავრობა ფაქტიურად უკვე აღარ არის ცენტრალური, მას ანგარიშს არ უწევს არც გარეშე მტერი, ის უძლურია ქვეყნის შიგნითაც. ან უკეთ რომ ვთქვათ, მას ჯერჯერობით კიდევ შესწევს ძალა, რომ ებრძოლოს რევოლიუციას მიტომ, რომ მთელი მისი აპარატი სავსეა ფაშისტური ელემენტებით და თვითონაც ის გზას უკაფავს ფაშიზმის გამარჯვებას მთელ გერმანიაში.

როგორც ეტყობა, ფაშისტებს უკვე დასრულებულად მიაჩნიათ შტრეზემანის მისია, მისი ვითომდა საშუალო, ნამდვილად კი ფაშისტური გადატრიალების მოსამზადებელი პოლიტიკა უკვე გამოუსადეგრად; და ისინი შესდგომიან კიდეც თავის მიზნის აშკარა და გადაჭრილი განხორციელებას.

მდგომარეობა გერმანიაში მუშათა კლასისათვის მეტად რთულია, მეტადრე საქსონიის წითელი მთავრობის დაცემის შემდეგ.

ძნელია იმის გათვალისწინება, თუ რანაირი მდგომარეობა შეიქმნება ხვალ საქსონიაში და მთელ გერმანიაში.

რადიო გადმოგვცემს, რომ საქსონიის კომუნისტები მოუწოდებენ მუშებს დაუყოვნებლივი შეიარაღებისაკენ, შემომტევ რეიხსვერის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

რეიხსვერის მიერ საქსონიის „მშვიდობიან" დაკავებამ მოუსწრო, სანამ კომპარტია დარაზმავდა მუშებს მისთვის მედგარი წინააღმდეგობის გასაწევად. ამაში, უეჭველია, დიდი როლი ითამაშა ციგნერის და მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ყოყმანმა, ციგნერის გაჭიანურებულმა მოლაპარაკებამ მიულერთან, რომელი მოლაპარაკების დროს მიულერი თანდათან იკავებდა რეიხსვერის ნაწილებით საქსონიის ოლქებს.

ჩვენ ვიმყოფებით ფაშისტური გადატრიალების წინ მთელ გერმანიაში.

გავიდა დრო სოციალ-დემოკრატიულ ლაყბობის. რევოლიუციონურ მასების მობილიზაცია, ამ მასების ერთიანი ფრონტის შექმნა და მათი ჩაბმა ბრძოლაში ფაშისტებთან—ეს ამოცანა აწევს გერმანიის კომუნისტურ პარტიას. ამ ამოცანას ის გადასჭრის. დროებითი და ნაწილობრივი დამარცხება ვერ გასტეხს გერმანიის მუშათა კლასს; ეს ახალ ენერგიას შთაბერავს მას, ახალ გამოცდილებას მისცემს შემდეგი ძლევამოსილ ბრძოლებისათვის.

ვინ არიან ფაშისტები

III

იტალიიდან ფაშისტური მოძრაობა სხვა ქვეყნებშიაც მოედო. ასე, მაგალითად, ესპანეთში, ამ მოძრაობამ გაიმარჯვა გენერალ დე-რივერას მეთაურობით. ესპანეთის ბურჟუაზიულ მთავრობასაც არ გაუწევია დიდი წინააღმდეგობა ფაშისტების ბრბოებისთვის. ასეთივე მოვლენა განმეორდა ბულგარეთში. კონტრ-რევოლიუციონურ ოფიცრობამ ადვილათ დაამხო სტამბულინსკის მთავრობა, რომელმაც მუშებს დაუწყო დევნა და ამით აიმხედრა ისინი თავის წინააღმდეგ. აქაც თითქმის იგივე შეცთომა იქნა განმეორებული გლეხებთან დამოკიდებულების საკითხში, რაც იტალიაში. მხოლოდ ფაშისტების გამარჯვების შემდეგ აშკარა გახდა მუშებისა და გლეხებისათვის, რომ ისინი უნდა იბრძოდენ ერთად მემამულეთა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. უკანასკნელი აჯანყება ბულგარეთში და თანამშრომლობა გლეხებისა ჩვენს პარტიასთან მოწმობს იმას, რომ პარტია დაადგა სწორ გზას, რომლითაც ის მივა გამარჯვებამდის. გამარჯვებებმა იტალიაში, ესპანეთში და ბულგარეთში მეტად წაათამამა და წაახალისა ფაშისტები. ჩვენ ვხედავთ, რომ ფაშისტები გაჩნდენ პოლონეთში, ბავარიაში, სადაც მათ ძალაუფლებაც კი ჩაიგდეს ხელში, და სხვაგან. რა მიზნებს ისახავს ეს **საერთაშორისო ფაშისტური მოძრაობა?** საითკენ მიისწრაფვიან ფაშისტები და რანაირია მათი სოციალური პოლიტიკა. როგორც ირკვევა, ბულგარეთის ფაშისტები ართმევდენ გლეხებს მიწებს და უბრუნებდენ მსხვილ მემამულეებს. ისინი აწარმოებდენ აგრეთვე სასტიკ ბრძოლას კომუნისტებთან. უკანასკნელი აჯანყების დროს ათი ათასობით დახოცილი იქნენ მუშები და გლეხები. მაგრამ ნამდვილ სახეს ფაშისტების „მოღვაწეობისას" იძლევა იტალია, სადაც ისინი უკვე კარგა ხანია ბატონობენ. რა ქნეს ფაშისტებმა გამარჯვების მეორე დღეს? მათ დაუწყეს დევნა კომუნისტებს და სოციალისტებს, დახურეს მათი გაზეთები, გამოაცხადეს ტერორი, დასწვეს კომუნისტური გაზეთების რედაქციების ბინები და სხვ. მათ დააწესეს გადასახადი მუშების და გლეხების სამუშაო ქირაზე და შემოსავალზე, მაშინ, როდესაც სამრეწველო კაპიტალზე დიდათ შეამცირეს გადასახადები. ამით არ დაკმაყოფილდენ ისინი და გადმოვიდნენ კიდევ უფრო მედგარ შეტევაზე მუშათა კლასის წინააღმდეგ. ფაშისტებმა **მოსპეს 8 ს. სამუშაო დრო** მუშებისათვის რომელიც მათ 1919 წელს მოიპოვეს, **გააუქმეს 1 მაისის დღესასწაული** და დააწესეს მის ნაცვლად უქმობა—21 აპრილს, რომის დაარსების დღეს. ყველა ეს ღონისძიებანი ნათლად ამტკიცებენ იმას, თუ ვის წინააღმდეგ მომართეს ფაშისტებმა თავისი დიქტატურის ბასრი იარაღი. ეხლა თუ მოვიგონებთ იმას, რომ ფაშისტებს თავი სოციალისტებათ და რევოლიუციონერებათ მოჰქონდათ, მაშინ აშკარათ დავრწმუნდებით იმაში, თუ რანაირი ფალსიფიკატორობა, სიაღლითე და მატყუარობაა ჩვენს წინაშე ამ იტალიელი „შავბლუზიან" ვაჟბატონების სახით. ამას დაუმატეთ ისიც, რომ მათ იტალიის სკოლებში შემოიღეს სამღვთო სჯულის სწავლება, რომლითაც კიდევ უფრო უნდათ დაუბნელონ მშრომელთ გონება. მგონი საკმარისია ეს ფაქტები, ფაშისტების ნამდვილი ფიზიონომიის გამოსარკვევათ.

ეხლა თვით იმათი პარტიის შესახებ. პარტია ძალიან ჭრელი ელემენტებისაგან შესდგება. იქ არის მემამულე, ბურჟუა, სპეკულიანტი, გლეხი და მუშაც. ეს, რასაკვირველია, მთავარი **დამაბრკოლებელი პირობაა პარტიის შიგნით ერთიანობის დასამყარებლად.** ამას წინად ჩვენ გვქონდა ცნობები იმის შესახებ, რომ ფაშისტები განხეთქილების წინაშე სდგანან, რომ ბევრი მათი გამოჩენილი წევრები პარტიიდან გამორიცხულიც კი იქნენ. მაგრამ მუსოლინი აწარმოებს მეტად მოქნილ და გაიძვერულ პოლიტიკას. მან გადაიღო ჩვენი პარტიის მეთოდები. ასე, მაგალითად, ის აწყობს თავისი პარტიის „გაწმენდას" ოპოზიციონურ ელემენტებისაგან. ამას მიუმატეთ ისიც, რომ მას ქონდა განზრახვა ჩვენი ორგბიუროს და პოლიტბიუროს მაგვარი ორგანოების შექმნისა.

ყველა ზემონათქვამიდან სჩანს, რომ ფაშისტების სახით გვევლინება ჩვენ თანამედროვე დროის **მემარჯვენე ბურჟუაზიული მიმდინარეობა**, რომელიც აშკარათ უარს ამბობს „დემოკრატიულ" პრინციპებზე და ხელს იღებს პარლამენტარიზმზე. ეს ნამდვილი დიქტატურაა ბურჟუების და მემამულეების, თავის სისხლიანი ტერორით. ბურჟუაზია დარწმუნდა იმაში, რომ ის მარტო ვერ იხსნის თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას. ამიტომაა, რომ ის დღეს მემამულეებთან მხარ და მხარ იბრძვის. **ბურჟუაზიის და მემამულეთა ბლოკი, რევოლიუციონური მოძრაობის დასახშობად, აი რა არის ფაშიზმი.**

ეს კარგათ ესმის მუშათა კლასს. ამიტომაა, რომ ის ერთის მხრივ აერთიანებს თავის რიგებს, ქმნის ერთიან მუშათა ფრონტს და მეორეს მხრივ კი უკავშირდება გლეხობას. **თუ ბურჟუაზია დაუკავშირდა მემამულეებს, ჩვენ მტკიცეთ უნდა დავუკავშირდეთ გლეხკაცობას ყველა ქვეყნებში.** ისე ჩვენი გამარჯვება არ შეიძლება. ეს ჩვენ ვიცით რუსეთის მაგალითზე. მუშათა და გლეხთა მთავრობის ლოზუნგი, ამიტომ, მისაღებია ყველა ქვეყნებისათვის. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ აშკარაა. მთელი მსოფლიო იყოფა ორ დიდ მებრძოლ ბანაკათ: ერთ ბანაკშია ბურჟუა-მემამულეები თავიანთი დიქტატურის შესანარჩუნებლათ, მეორე ბანაკში კი მუშები და გლეხები პროლეტარიატის დიქტატურის განსახორციელებლათ. ამ ორ ბანაკს შორის უნდა გადასწყდეს გენერალური ბრძოლის საკითხი. თანამედროვე ცხოვრების ანალიზი, რევოლიუციონური ტალღების აგორება დასავლეთ ევროპაში, ფაშისტების რიგების გახრწნა, სოციალდემოკრატიული „საშუალო" ფრონტის დაშლა და პროლეტარული რევოლიუციის იერიშებით მისვლა ევროპიული კაპიტალიზმის სიმაგრეებზე, გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ეს უდიდესი ისტორიული ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის გადასწყდება მშრომელთა სასარგებლოთ, მათი გამარჯვებით.

ქ. ორაგველიძე.

წერილები ბერლინიდან

ნახშირისა და რკინის კანცლერი

ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებს ორგვარი მმართველები ჰყავს: მეფეები და მინისტრები, რომლებიც იცვლებიან, და ფინანსისტები და „საქმის ხალხი", რომლებიც რჩებიან, უცვლელი არიან. თანამედროვე გერმანიას ამჟამად ჰყავს ორი კანცლერი. ერთი, რომელსაც არა აქვს არც ფული, არც პრესა, რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინათ მიიღო ძალაუფლება, რომელსაც ის ხვალ გამოეთხოვება. მეორე—მაღაროების, ფაბრიკა-ქარხნების, მამულების, ბანკების, გაზეთების მფლობელი, რომელიც არავის წინაშე პასუხისმგებელი არ არის, ის კანონზე მაღლა დგას, მისგან არის დამოკიდებული საზოგადოებრივი აზრი, მინისტრები, ომი და ზავი, მას არ ცვლიან. პირველია მხოლოდ ამსრულებელი ბურჟუაზიის ბრძანებების, მეორეა მისი ტვინი.

ეს ორი არის შტრეზემანი და ჰუგო სტინესი.

პირველმა, რომელსაც გარს არტყია მისი მომხრე სოციალ-დემოკრატები, გზა უნდა მოუმზადოს მეორეს.

ჰუგო სტინესი, უკანასკნელ ხანებში იქცევა როგორც გერმანიის ნამდვილი ბატონი. მოლაპარაკება შტრეზემანსა და პუანკარეს შორის ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ სტინესი უკვე აწარმოებს საიდუმლო მოლაპარაკებას გენერალ დეგუტთან. მან შეიწყალა დიდი კოალიციის მთავრობა, უარი სთქვა მის გადაყენებაზე, მაგრამ 9 ოქტომბერს წარუდგინა მას ულტიმატუმი, რომელიც შემდეგ ათ მუხლს შეიცავდა: 1. ფრანგების მიერ რურის ოკუპაციის დროს ჩამორთმეული ნახშირისათვის მრეწველებისათვის კომპენსაციის მიცემა, 2. ნახშირზე იძულებითი გადასახადის წინასწარ გამოქვითვისათვის კომპენსაციის მიცემა, 3. ამ კანონის მოქმედების გაუქმება რურის ოლქში, 4. ნახშირის მიწოდების თავისუფლად განაწილება, 5. რურისათვის სურსათისა და ნედლი მასალის პირველ რიგში მიწოდება, 6. ნახშირის კომისარიატის შექმნა, 7. მრეწველებისათვის საფრანგეთის სარდლობასთან უშუალო მოლაპარაკების წარმოების და 8. მათთან ერთად მიმდინარე საკითხების გადაჭრის უფლების მინიჭება, 9. რეინის მხარის რკინისგზების საფრანგეთ-გერმანიის საზოგადოებას გამგეობაში მრეწველების მონაწილეობა დროებით, 10. შრომის ხანგრძლივობა რვა საათ ნახევარი მაღაროებში და 10 საათი დანარჩენ წარმოებაში.

მთავრობას პასუხი უნდა მიეცა რკინის კანცლერისათვის 9 ოქტომბრის 12 საათამდე. მანამდი კი რურის მრეწველებმა მოსთხოვეს მაღაროს მუშებს სამუშაო დღის გაგრძელება.

არსად, არც ერთ ქვეყანაში ოფიციალურ მთავრობას მისი ნამდვილი ბატონები არ ეპყრობოდენ ასე ამაყად და თავხედურად. ბატონმა შტრეზემანმა და რობერტ შმიდტმა ყლაპეს ეს შეურაცხყოფა და გადადვეს ყველა თავისი „მიმდინარე საქმეები" ამ ულტიმატუმის განსახილველად.

ყველაზე საინტერესო მთელ ამ ამბავში ის არის, რომ ბატონი ჰუგო სტინესი თავის თავს სთვლის რურში ეკონომიური ბრძოლის მსხვერპლათ და მოითხოვს (პატრიოტობაც ასეთი უნდა!) ანაზღაურებას, კომპენსაციებს და პრივილეგიებს.

ჰუგო სტინესმა ფინანსიურ და ეკონომიურ ძლიერებას გოგენცოლერნების დროს მიაღწია. იმპერიის კეთილდღეობა—სტინესის კეთილდღეობაა. კაიზერის სამხედრო პოლიტიკამ გაამდიდრა ის: ის ნახშირის მთავარი მიმწოდებელი იყო სამხედრო მრეწველობისათვის.

ომის დროს ბატონი სტინესი განაგრძობდა გამდიდრებას: თითოეული ყუმბარა მას სარგებლობას აძლევდა, თითოეული გვამი, რომელიც ბრძოლის ველზე იხრწნებოდა, მას მოგებას აძლევდა... მან გაძარცვა აგრეთვე ბელგიის მრეწველობა.

ომის შემდეგ სტინესი შევიდა გამარჯვებულთა ამხანაგობაში, რომ მათთან ერთად განიგრძო ერების გაყვლეფის საქმე. მან საფრანგეთის მრეწველობის წარმომადგენელთან დე-ლიუბერზაკთან დადვა ხელსაყრელი სარეპარაციო ხელშეკრულება და თავისი მტაცებლური ხელის ფათური დაიწყო ვენაში და ჩეხო-სლოვაკიაში.

რურში ეკონომიური ომის დროს სახელმწიფო ოქროს მარაგის დიდი ნაწილი გადავიდა მისი ფოლადის სალაროებში.

გერმანიის კაპიტულიაცია ხელსაყრელია მისთვის, მომავალი სარეპარაციო შეთანხმებანი შეიქნებიან მისთვის ახალი სიმდიდრის შეძენის წყაროთ, გერმანიის ერის საშინელი სიღატაკე კი მას დიქტატურას გადასცემს.

ჰუგო სტინესს ეკუთვნის რეინის მხარის ქვანახშირის სინდიკატი, მის ხელშია ნახშირით ვაჭრობის და გემების საზოგადოება, დორტმუნდის მაღაროების საზოგადოება, გერმანია-ლიუქსემბურგის მაღაროების საზოგადოება და თუჯის დასამუშავებელი ქარხნები, ელექტრონის ქარხნები აახენში და ვესტფალიაში, მაღაროები გილზენკირხენში, რეინისა და ელდის ელექტრონის საზოგადოებები და სხვადასხვა.

მის საკუთრებას შეადგენენ რამდენიმე ყოველდღიური გაზეთები: „გერმანიის საყოველთაო გაზეთი", „რეინისა და ვესტფალიის გაზეთი", მის ხარჯზე არსებობენ: „გერმანელი გაზეთი", „ფრანკფურტის გაზეთი" „ჰამბურგის გაზეთი".

გერმანიის თითეულ მნიშვნელოვან ქალაქში მას აქვს მისი ერთგული პრესა.

მეტად ძნელია მისი ქონების და მისი სიძლიერის სისწორით გამორკვევა.

მას შეუძლია ელაპარაკოს როგორც თანასწორი საფრანგეთის იმპერიალიზმს; ის შეეხვია და შეუძლია უბრძანოს ბერლინის მთავრობას.

მან იცის, თუ რა სურს მას.

რა სურს მას—ეს პირველ ყოვლისა პოლიტიკაში ორი რამ: 1. მოახვიოს გერმანიის მუშათა კლასს 10 საათის სამუშაო დღე, 2. დიქტატორული ძალაუფლების ჩაგდება ხელში. მისი პრესა ძლიერ ღელავს ამის გამო. განსაკუთრებით ღელავს „გერმანიის საყოველთაო გაზეთი". გადაუშალეთ მისი უკანასკნელი ფურცლები. 9 ოქტომბრის მოწინავე ქიცხავს იმათ, ვინც წინააღმდეგია „ინტენსიური" მუშაობის და ქებას ასხამს 10 საათის სამუშაო დღეს.

თუ გერმანელი მუშა იმუშავებს ორ ზედმეტ საათს (და არაფერს სჭამს) ბ. სტინესი, კრუპპი და ოტტო ვოლფი გადაიხდიან რეპარაციებს.

სამაგიეროთ საფრანგეთის შავკანიანი ჯარები კი უზრუნველყოფენ სტინესის და კამპანიის მყუდრო ცხოვრებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უძლიერესი ეკონომიური დიქტატურა, თუ გინდ თვით „რკინის კანცლერის", აღადგენს გერმანიის მრეწველობის ნაყოფიერებას, რომლის კრიზისს უფრო ღრმა ფესვები აქვს. ამ კრიზისს ბოლოს მოუღებს მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურა.

რ. ალბერტ.

ბერლინი, 12 ოქტ.

კაპიტალის ტყვე—წითელი კავალერიის საპატიო ჯარისკაცი



ერიქ მიუზამ

კომუნისტი, გერმანიის რევოლიუციაში მონაწილეობისათვის მიუსაჯეს 15 წლის ციხე; მოთავსებულია ნიდერშენენფელდის (ბავარია) ციხეში.

1918 წ. ე. მიუზამი დიდ როლს თამაშობდა მიუნხენის მუშათა დეპუტატების რევოლიუციონურ საბჭოში და სამხედრო სამინისტროში, სადაც ის გამოდიოდა მოხსენებებით რევოლიუციის დაცვის შესახებ.

1923 წლის 23 თებერვალს ვიატკის გუბერნიის სამხედრო დელეგატების კრებაზე ერიქ მიუზამი აირჩიეს წითელი კავალერიის საპატიო ჯარისკაცად.

ახალი შეტაკება ფრეიბერგში.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. რეიხსვერის ახალ შეტაკების დროს მოსახლეობასთან მოკლულია 85 კაცი, რომელთაგან 15 ქალია.

ფაშისტები გამოფხიზლდნენ.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. კვირას მიუნხენში მთელი დღის განმავლობაში იმართებოდა საიდუმლო სამხედრო ორგანიზაციების მანიფესტაციები. ერთ დროს ისინი აკრძალული იყვნენ, ეხლა კი კარმა ნებართვა მისცა მათ აღლუმების გამართვისათვის. ფაშისტების სამხედრო ორგანიზაციებმა გაშლილი ფაშისტურ დროშებით და ცერემონიალური მარშით ჩაიარეს ჰიტლერისა და კაპიტან ერხარდტის წინ. მანიფესტაციების დროს ქალაქში გავრცელდა ხმა, რომ ნოემბრის პირველ რიცხვებში ფაშისტური გადატრიალება მოხდება. ფაშისტურ მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა სასტიკათ გაილაშქრეს ცენტრალურ მთავრობის წინააღმდეგ და განაცხადეს, რომ დადგა დრო, როდესაც შეიძლება ითქვას რომ ცენტრალურ მთავრობას არა აქვს ბავარიის შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება. ორატორებმა განაცხადეს, აგრეთვე, რომ პრეზიდენტ ებერტს არა აქვს უფლება მიიღოს რაიმე ზომები გენერალ ლოსოვის წინააღმდეგ და მოითხოვდენ ებერტის ბრძანების დაუყოვნებლივ გაუქმებას და ლოსოვის უფლებების აღდგენას.

სიკვდილით დასჯა—აჯანყებაში მონაწილეობისათვის.

ბერლინი. 29 ოქტომბერი. ჰამბურგში შემოღებულია სამხედრო-საველე სასამართლოები. შაბათს მუშა ტორენს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს აჯანყებაში მონაწილეობისათვის, ხუთ მუშას კი მიუსაჯეს მრავალი წლით ციხეში დამწყვდევა.

პრესის აზრი შტრეზემანის ულტიმატუმის შესახებ

გერმანიის პრესა შტრეზემანის ულტიმატუმის შესახებ.

ბერლინი. 28 ოქტომბერი. არჩევს რა შტრეზემანის ულტიმატუმს საქსონიის მთავრობისადმი, „ფორვერტს“-ი აღიარებს, რომ ულტიმატუმი სახიფათო შედეგების შესაძლებლობას შეიცავს. აღნიშნავს რა, რომ გერმანიის მთავრობის წევრნი—სოციალ-დემოკრატები მიზანშეუწონლათ სთვლიდენ ულტიმატუმის გაგზავნას, გაზეთი წინადადებას აძლევს მთავრობას, რათა უკანასკნელებს შეუთანხმდეს სოციალ-დემოკრატებს, რადგან ბრძოლა ბავარიის წინააღმდეგ შესაძლებელია გამარჯვებით დამთავრდეს მხოლოთ იმ პირობით, თუ სოციალ-დემოკრატები მხარს დაუჭერენ მთავრობას.

მემარჯვენე პრესა კმაყოფილია ულტიმატუმით. სტინესის „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი“ აცხადებს, რომ ულტიმატუმი მოასწავებს სოციალიზმისა და კომუნიზმის და, აგრეთვე სოციალ-დემოკრატებისა და კომუნისტების შეთანხმების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას.

„დოიჩე ტაგეს ცეიტუნგი“ მოითხოვს ცეიგნერის გასამართლების სახელმწიფო ღალატისათვის.

მთავრობის პრესა აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში თუ ცეიგნერი დათმობაზე წავა, შექმნილი იქნება ახალი მთავრობა, ხოლო უკეთუ ცეიგნერი უარყოფს ულტიმატუმის შესრულებას, იმპერიის მთავრობა საქსონიის მართვა-გამგეობისათვის დანიშნავს კომისარს, რომელიც განამტკიცებს თავის ხელისუფლებას რეიხსვერის დახმარებით. ფიქრობენ, რომ კომისარის პოსტი მიეცემა სოციალ-დემოკრატებს, ან,—თუ სოციალ-დემოკრატები უარს განაცხადებენ,—დემოკრატს.

არეულობა დაპყრობილ ადგილებში

არეულობა საოკუპაციო ოლქებში.

ლონდონი. 30 ოქტ. ბერლინიდან იუწყებიან, რომ არეულობა პოლიტიკურ და უსურსათობის ნიადაგზე გერმანიის სხვადასხვა კუთხეებში სწარმოებს.

არეულობის დროს ბოხუმში მოკლულია 20 კაცი და დაჭრილია 15.

ობეროოზში მოჰკლეს 2 კაცი, დაჭრილებიც არის.

ესსენში მოჰკლეს სამი და მრავალი დასჭრეს.

დიუსბურგში მოჰკლეს 5 კაცი, დასჭრეს მრავალი.

იუწყებიან, რომ არეულობა ხდება დიუსელდორფში, ვიტენში და ჰელზენკირხენში.

კრეფელდში ბრბომ დაარბია ქალაქის თავის სახლი.

ცენტრალური მთავრობა და ბავარია

ყურადღებასაც არ აქცევენ.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. ბავარიის მთავრობას ჯერაც არ გაუცია პასუხი ცენტრალურ მთავრობის მოთხოვნილებაზე, რომელიც შეეხება გენერალ ლოსოვის გადაყენების გამო მომხდარ უთანხმოებას.

პასუხს ერთი კვირა დააგვიანდება.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. დღეს დანიშნულია ბავარიის კაბინეტის სხდომა ცენტრალური მთავრობის ნოტის განსახილველათ. პასუხს ნოტაზე დააგვიანდება არა ნაკლები ერთი კვირისა, რადგანაც ბავარიის მთავრობას განზრახული აქვს წინასწარ გამოარკვიოს საკითხი იმის შესახებ, ფიქრობს თუ არა ცენტრალური მთავრობა გააუქმოს საალყო წესები და დასტოვოს თავიანთ თანამდებობაზე ბავარიის დიქტატორი კარი და გენ. ლოსოვი. ცენტრალური მთავრობის ნოტას ბავარიისადმი არ ჰქონდა ულტიმატური ხასიათი.

სოციალ-დემოკრატები „თათბირობენ“

არევ-დარევა სოციალ-დემოკრატიულ წრეებში.

ბერლინი. 30 ოქტ. დღეს რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას თათბირი ექნება საქსონიის ამბების შესახებ. სოც.-დემოკრატიულ წრეებში აცხადებენ, რომ ამ ამბების შემდეგ, სოციალ-დემოკრატების დარჩენა შტრეზემანის კაბინეტში შესაძლებელი იქნება მხოლოთ იმ შემთხვევაში თუ ისინი განხეთქილებაზე გასწირავენ პარტიას.

მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა ორი თავისი წარმომადგენელი,—მიულერი და ველსი,—გაგზავნეს დრეზდენში ცეიგნერთან და საქსონიის სოციალ-დემოკრატიის სხვა ლიდერებთან მოლაპარაკების გასამართავათ. მოლაპარაკების მიზანია, საქსონიაში ახალი კაბინეტის შექმნა, რომელშიაც კომუნისტები მონაწილეობას არ მიიღებენ. სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთა პარტიიდან გამოსვლით იმუქრება, თუ ცენტრალური მთავრობა თავს არ დაანებებს საქსონიის ჯავრცმას.

გერმანიის პრესის აზრი.

ბერლინი. 30 ოქტ. გაზეთები „გერმანია“ (ცენტრის ორგაო) „ფოლკსცეიტუნგი“-ი (დემოკრატების ორგანო) და სოციალ-დემოკრატიული „ფორვესტს“-ი აცხადებენ, რომ ცენტრალურ მთავრობის მოქმედება მეტისმეტად ნაჩქარევია და არც მართლდება საქსონიაში არსებულ მდგომარეობით, „ფორვესტს“-ი აღნიშნავს, რომ ცენტრალური მთავრობა რომ ისეთივე მოთმინებით მოპყრობოდა საქსონიას, როგორც იგი ბავარიას ეპყრო, მდგომარეობა გაცილებით უფრო უკეთესი იქნებოდა და თვით მემარცხენე სოციალ-დემოკრატები ბოლოს და ბოლოს მოითხოვდენ კომუნისტ-მინისტრების გადადგომას. ეხლა კი ცენტრალურ მთავრობის საქციელის წყალობით, საქსონიის სოციალ-დემოკრატები იძულებული არიან კომუნისტებთან ერთად გამოვიდენ „საქსონიის, როგორც სრულიათ სუვერენულ სახელმწიფო უფლებათა დასაცავათ ბერლინის ძალადობის წინააღმდეგ“, როგორც ისინი ამბობენ.

სეპარატისტული მოძრაობა

ფრანგები და ბელგიელები აშკარა მფარველობას უწევენ სეპარატისტებს.

ბერლინი. 30 ოქტ. სეპარატისტული მოძრაობა თანდათან ედება რეინის ოლქის სხვადასხვა კუთხეებს. ფრანგები და ბელგიელები აშკარა მფარველობას უწევენ სეპარატისტებს.

შაბათ მაინცში სეპარატისტებმა, საფრანგეთის ჯარების დახმარებით დაიკავეს ქალაქის თვითმართველობის შენობა.

ტრიერში საფრანგეთის ჯარებმა შესცვალეს სეპარატისტების პატრულები.

კობლენცში საფრანგეთის ხელისუფლებამ, როდესაც მას მიუთითეს იმაზე, რომ სეპარატისტებში დიდია ბოროტ-მოქმედთა პროცენტი, უპასუხა, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან ყოველი გადატრიალების ზედაპირზე მოექცევა ხოლმე ბოროტმოქმედ ელემენტთა ნაწილი სეპარატისტები შავ კავალერიის დახმარებით ხმლებით სცემენ გამვლელთ.

ბირკენფელდში საფრანგეთის ჟანდარმერიამ და სეპარატისტებმა სროლა აუტეხეს ბრბოს.

ბირკენფელდიდან ფრანგებმა გადაასახლეს გერმანიის მთავრობის წარმომადგენლები და სხვა მრავალი ცნობილი მოხელეები.

აახენში და ვალგეიმში (ბელგიის ზონა) ხელახლა მოხდა რამოდენიმე შეტაკება.

კრეიცნახის რაიონში სეპარატისტებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება ბინგენში და ზიმერნში.

მოძრაობა მთელ რეინის ოლქს.

ბერლინი. 29 ოქტ. სეპარატისტებმა დაიკავეს მაინცი, სადაც იქნება რეინის მთავრობის რეზიდენცია. საფრანგეთის ხელისუფლება აგიტაციას ეწევა გლეხებსა და ვაჭრებს შორის სეპარატისტების სასარგებლოთ. ინგლისელები კმაყოფილდებიან პლატონიურ მუქარით და პროტესტებით. ამ ჟამათ სეპარატისტების ხელშია რეინის თითქმის ყველა ქალაქები.

გერმანიის მრეწველების მოლაპარაკება ოკუპანტებთან

„ძირითადი საფუძველი“

ბერლინი. 29 ოქტომბერი. რურის ოლქში გრძელდება მოლაპარაკება გერმანელ მრეწველებსა და საოკუპაციო ხელისუფლების შორის; მოლაპარაკება სწარმოებს შემდეგ საფუძველზე: განახლებული იქნება სარეპარაციო მიწოდებები გერმანიის მთავრობის ხარჯზე, რომელიც ვალდებულია ერთი წლის შემდეგ დაიწყოს კონტრიბუციის გადახდა ზედდართულ პროცენტებით. მრეწველები ვალდებულნი არიან გადაიხადონ აგრეთვე ნახშირის გადასახადი, რომელიც არ გადაუხდიათ მათ პასიურ წინააღმდეგობის დროის განმავლობაში.

საკონტრიბუციო საკითხის გარშემო

ინგლისი და ამერიკა პუანკარეს პასუხის განხილვას შეუდგებიან.

ლონდონი. 30 ოქტომ. ლონდონის ოფიციალური წრეები იტყობინებიან, რომ ინგლისის წინადადებაზე მიღებულ პუანკარეს პასუხს კონფერენციის მოწვევის შესახებ, ამ მოკლე ხანში ერთად განიხილავენ ინგლისისა და ამერიკის მთავრობანი.

ბელგია თანახმაა შემოწმებულ იქმნას გერმანიის გადამხდელობის უნარი.

ბერლინი. 30 ოქტ. ბელგიის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა ინგლისისა და ამერიკის მთავრობას, რომ იგი თანახმაა ექსპერტთა კომისიამ გამოიკვლიოს გერმანიის გადამხდელობის უნარიანობა.

ინგლისი დამოუკიდებლად გამოდის.

ბერლინი. 30 ოქტ. ინგლისის მთავრობის წრეები შეაფიქრიანა იმ გარემოებამ, რომ საფრანგეთმა ინგლისის მთავრობის წინადადება რამდენიმე პირობით შეზღუდა. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა დამოუკიდებლად შეიმუშაოს დაწვრილებით საკონტრიბუციო პრაქტიკული გეგმა იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის მთავრობა მართლაც საბოტაჟს გამოუცხადებს მოწვეულ კონფერენციას.

ინგლისის კანდიდატები ექსპერტთა კომისიაში.

პარიზი. 30 ოქტ. „ტან“-ის აზრით, ინგლისის მთავრობა ექსპერტთა კომისიაში თავის მხრივ გაგზავნის საგარეო საქმეთა მინისტრს კერზონს, და საკონტრიბუციო კომისიის ინგლისის წარმომადგენელს ბრანბიურს.

სტინესის მოლაპარაკება.

ბერლინი. 30 ოქტომ. „პტი ჟურნალ“-ი იუწყება დიუსელდორფიდან, რომ სტინესმა საოკუპაციო მთავრობას ახალი გეგმა წარუდგინა მუშაობის განახლებლად. მოლაპარაკება, ალბათ, ხუთშაბათს დასრულდება.

პუანკარეს გამოსვლა კონფერენციის წინააღმდეგ.

პარიზი. 29 ოქტომ. პუანკარემ მკაცრი კრიტიკა გაუკეთა ინგლისის წინადადებას ახალ კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს საკონტრიბუციო საკითხი.

პუანკარემ აღნიშნა, რომ გადასახადების გადიდება და ვალის შემცირება შეუძლებელია, თუ ამისათვის არ იქნება ყველა კრედიტორების თანხმობა. საფრანგეთი არასოდეს არ დათანხმდება იმაზე, რომ შემცირებულ იქნეს ვალი და დაშლილ იქნეს სარეპარაციო კომისია. ეთანხმება რა აუცილებლობას გადასინჯულ იქნეს საკითხი გერმანიის გადახდის უნარიანობის შესახებ, პუანკარე აღნიშნავს, რომ ეს საკითხი შედის სარეპარაციო კომისიის ფუნქციებში. პუანკარეს აზრით, ახალი კონფერენცია, გარდა უსარგებლო სიტყვებისა, არავითარ შედეგს არ გამოიღებს. უფრო მიზანშეწონილი იქნება გამოყოფილ იქნეს სარეპარაციო კომისიიდან ექსპერტები, რომელთაც უნდა გამოარკვიონ გერმანიის გადახდის უნარიანობა.

პუანკარე სასურველათ სთვლის ამერიკის მონაწილეობას საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტაში.

პასუხი იაპონიის ჯალათებს

შორს აღარაა ჟამი ანგარიშების გასწორებისა.

მოსკოვი. 30 ოქტ. ახალგაზრდობის კომინტერნმა მთელი ქვეყნის და იაპონიის პროლეტარიატის ახალგაზრდობას მოწოდებით მიმართა, იაპონიის მთავრობის პროვოკაციულ გამოსვლის წინააღმდეგ და თეთრი ტერორის გამეფების გამო, რომლის მსხვერპლებადაც გახდნენ მუშათა ახალგაზრდობის ბელადები. მოკლულთა შორის იყო იაპონიის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ეშუტორა კავაი.

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ეს მკვლელობა ჩაიდინა მთავრობის მიერ დარაზმულმა შავრაზმელთა ბრბომ, რათა ჩაეშალა მომავალი დღესასწაული საერთაშორისო ახალგაზრდობის კავშირისა. იაპონიის მთავრობამ ნიადაგი მოუმზადა ამ მკვლელობას პროვოკაციული ცნობის გამოქვეყნებით, „კომინტერნის ახალგაზრდობის შეთქმულობის“ შესახებ. მიწის ძვრამ მხოლოდ ხელი შეუწყო მთავრობას ამ ვერაგულ საქმეში. მოწოდება მიმართავს მუშებისა, გლეხებისა და სტუდენტობის ახალგაზრდობას მჭიდროდ შეკავშირდნენ კომუნიზმის დროშის ქვეშ, რადგანაც შორს აღარაა ჟამი ანგარიშების გასწორებისა.

ბულგარეთის ამბები

თეთრები ბავშვებსაც კი არ ინდობენ.

ვენა. 29 ოქტომბერი. მიღებულია ახალი ცნობები თეთრების ტერორის შესახებ, რომელიც მძვინვარებს ბულგარეთში. პლოდვინოში მოკლულია—30 ბელადი კომუნისტებისა და გლეხთა პარტიისა. მათი გვამები ისეა დასახიჩრებული, რომ ვერავინ იცნობს. დიდკაცებს აუწერელ ზნეობრივ წამებას აყენებენ. ფერდინანდოვოში თეთრებმა სცემეს პატარა ბავშვებს.

„მუშათა მოამბის“ პირველი ნომერი.

ვენა. 29 ოქტომბერი. გამოვიდა პირველი ნომერი ბულგარეთის კომპარტიის საზღვარგარეთული კომიტეტის „მუშათა მოამბისა“. ნომერში მოთავსებულია აუარებელი ცნობები ბულგარეთის აჯანყების მოძრაობის შესახებ.

საერთაშორისო დამხმარე კომიტეტის მოღვაწეობა.

ვენა. 29 ოქტომბერი. ბულგარეთის თეთრი ტერორის მსხვერპლთა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტი წარმატებით მოქმედებს. ბულგარეთში რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი გადაკეთდა ბულგარეთის ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტად. ასეთი კომიტეტები არსებობს ვენაში, პრაგაში და ბერლინში. დახმარების საერთაშორისო კომიტეტი კმაყოფილებით ადასტურებს საბერძნეთ-სლავიისა, ჩეხო-სლოვაკიისა, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების პროგრესიულ ორგანიზაციათა თანაგრძნობით მოქმედებას ბულგარეთის თეთრი ტერორის მსხვერპლთა დახმარების საქმეში.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გაზეთ „კომუნისტი“-ს [illegible]

ამხ. კლემენტი სულავას გამოწვევით შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ 60.000.000 მანეთი და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: სერაფიონ სიხარულიძეს, შალვა რამიშვილს, ვლადიმერ ქუთათელაძეს, ვანო კობახიძეს, ანტონ ტუსკიას, ალექსი გოგიბერიძეს, სერგო ისაევს (სერიოჟას). დარწმუნებული ვარ, რომ ზემოაღნიშნული ამხანაგები, თვითეული თუ მეტს არა, ჩემზე ნაკლებს მაინც არ შემოიტანენ. **ბ. კოჩიანი.**

ამხ. კლემენტის გამოძახილით შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ სამოცი მილიონი მანეთი, და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: არჩილ გოცაძეს, სეფე ჰეიშვილს, ფ. გაბარაშვილს, ვანო მოდებაძეს, ზოტინე სოფრომაძეს, ნიკო ცირეკიძეს, მინა აბაშიძეს, ნიკა აჭარაძეს, ვასილ ეფარიძეს და ალექსანდრე ფხალაძეს. **ირ. ჯაოშვილი.**

ამხ. ვ. მ. მიქაძის გამოწვევით შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ ათი მილიონი მანეთი. **ა. პ. ლებედევი.**

შემოვიდა 30 ოქტომბერს:

ი. ჯაოშვილი 60.000.000 მ., კოჩიანი 60.000.000 მ., „დორპრომგზის დიზელების კურსანტები“ 60.000.000 მ., პ. თამაშევსკი 10.000.000 მ., გ. ჩიხლაძე 10.000.000 მან., ი. გაჩეჩილაძე 10.000.000 მან., ა. ლებედევი 10.000.000 მ., **სულ 220 000 000 მან.**

წინეთ შემოსულით: 267 ჩერვონეცი, 9 ნახ გირ. ინგ. სტერლინგი, 22 ნახ. ოსმალური ქაღ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 8 ოქროს ბეჭედი, 2 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს საგულე, 1 ოქროს საყურე, 1 ვერცხლის ჩაიკოვზი 34 ვერცხლის მანეთი, 2 ვერცხლის პორტსიგარი. 1 ვერცხლის რგოლი და 6.571 232.000 მანეთი.

წითელი ახალგაზრდობა

რუსეთი

კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირის მოღვაწეობის მიმოხილვა.

მოსკოვი. 29 ოქტომ. საკავშირო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის მიმართ გამოცემულ მოწოდებაში, რუსეთის კომუნისტურ ახალგაზრდობის არსებობის კავშირის 5 წლის თავზე, რუსეთის კომ. ახალ. კავშირის ცენტრალური კომიტეტი იძლევა მოკლე მიმოხილვას კომუნ. ახალ. კავშირის 5 წლის მოღვაწეობის შესახებ.

კომუნ. ახალგ. კავშირი, თავისი მოღვაწეობის დროს, მუდამ ხელიხელ ჩაკიდებული მიდიოდა მუშათა კლასის ძველი ხელმძღვანელ—რუსეთის კომუნისტურ პარტიასთან.

საკავშირო რესპუბლიკის მუშურ-გლეხურმა ახალგაზრდობამ, თავისი კავშირების საშუალებით, საკავშირო რესპუბლიკა დაუკავშირა სხვა ქვეყნების მუშათა ახალგაზრდობას.

კომუნ. ახალგ. კავშირი არის ერთი დამაარსებელთაგანი ახალგაზრდობის კომინტერნისა, ის არის პროლეტარულ ორგანიზაციის საერთაშორისო მთლიანი არმიის ერთი რაზმთაგანი.

უძლეველ და უმხურვალეს სალამს გერმანიის მებრძოლ მუშათა ახალგაზრდობას, რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს საკავშირო რესპუბლიკის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას მჭიდროთ შემოკრბეს რუსეთის კომუნ. ახალგ. კავშირის გარშემო.

რუსეთის ცაკის მესამე სესია

მოსკოვი. 30 ოქტომბ. ორშაბათს დიპლომატიური კორპუსის თანდასწრებით საზეიმოთ გაიხსნა რ. ს. ფ. ს. რ-ს ცაკის მესამე სესია. დღის წესრიგიდან გამორიცხულ იქნა მოსმენა „ვოლხოვსტროი“-ს შესახებ, რათა არ მოეცდინათ მუშათა მასის ხელმძღვანელები.

მოხსენება ადგილობრივ ფინანსების შესახებ

ადგილობრივი ბიუჯეტით იმაგრებს საბჭოთა რესპუბლიკა

რ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ვლადიმიროვმა მოხსენებაში ადგილობრივ ფინანსების შესახებ განაცხადა, რომ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა წამოაყენა პრინციპი, რომლითაც ყველა ის მოთხოვნილებანი, რომლებიც დაკავშირებული არიან ადგილობრივ საჭიროების დაკმაყოფილებასთან, სავსებით გადატანილ უნდა იქნენ ადგილობრივ ბიუჯეტზე. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა შესწყვიტა საბიუჯეტო წლის მესამე მეოთხედის გადასახადების გადიდება, ხოლო ზოგიერთი გადასახადები კიდეც შემცირა. საგადასახადო ხასიათის შემოსავალი ომამდე უდრიდა 2 მილიარდ მანეთზე მეტს წლიურად. ნაციონალიზაციის შემდეგ დასაბეგრავი ქონება გადავიდა სახელმწიფოს განკარგულებაში. ადგილებზე სრულიათ ვერ გაართვეს თავი საგადასახადო შემოსავლის გამოძებნის ამოცანას. ასეთი შემოსავალი შარშან უდრიდა 60 მილ. მანეთს. საჭიროა უფრო ნაყოფიერი გამოყენება ქონებიდან მიღებული კაპიტალისა, რაც შეიძლება მეტი შემოსავლის მიღების მიზნით. აძლევს რა ადგილებს შემოსავლის ნაწილს, სახელმწიფო აკისრებს მათ აგრეთვე ხარჯების ნაწილსაც. გარდა იმ ქონებისა, რომელიც გადაეცემა ადგილებს, ფინანსთა სახალხო კომისარიატი როდ მიიჩნია დაუქვემდებაროს ადგილებს აგრეთვე საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებაც, დამყარებული იქნეს გადასახადის დროზე აკრეფის პასუხისმგებლობის, კონტროლის და ხელმძღვანელობის ერთიანობა.

ადგილობრივი ბიუჯეტი

ადგილობრივ ბიუჯეტის სტრუქტურის მოსაწესრიგებლათ, ფინანსთა სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა დებულება ადგილობრივ ფინანსების შესახებ და აგრეთვე დეკრეტი ზერნიო ალმასკომების ქონებრივ ... ლებების შესახებ. 15 დეკემბრის ... ვის დამთავრებული იქნება სრულ...

პარლამენტარიზმი, თუ დიქტატურა

ჰენრიხ ჰეინე სადღაც ამბობს, რომ „რომელიმე ძველი ლუიდორი უფრო ჰკუიანია, ვიდრე ადამიანი, რადგან მან უკეთ იცის ომი იქნება, თუ ზავი“. ამ სიტყვებს არასდროს არ ჰქონიათ ისეთი რეალური მნიშვნელობა, როგორც დღეს. გერმანიის გაცვეთილ მარკას რომ დააკვირდეთ, ის საშინელი გულახდილობით გიამბობთ გერმანელი ხალხის ტრაღედიას. ამ პატარა გაქონილ ქაღალდზე სწერია და—იწერება ჯერ კიდევ—მთელი ისტორია იმ სოციალურ ძალთა განვითარებისა, რომელნიც დღეს აპობენ საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირს და სტიქიონური ძლიერებით იწყებენ თარეშს და შეხლა-შემოხლას სივრცეში. დიახ, მასზეა აღბეჭდილი სიკვდილით სასჯელის განაჩენი კაპიტალისტური საზოგადოებისათვის, რომელიც აღარსად აღარ განსაჩივრდება და რომლისთვისაც აღარავითარი საკასაციო ინსტანცია აღარ არსებობს. იგი უტყუარი საბუთია იმისი, რომ ქაოსი კაპიტალისტური წარმოება—აღებ-მიცემობისა დღეს აღწევს უკანასკნელ წერტილს თავის განვითარებისა და გამალებით ახლოვდება ჟამი ბურჟუაზიული საზოგადოების აღსასრულისა.

ომამდე ერთი ამერიკული დოლარი ღირდა ოთხი გერმანული მარკა. უკანასკნელი ცნობებით კი ერთი დოლარი ღირს 100 მილიარდი მარკა. დაუკვირდით და ჩაუფიქრდით ამ დაპირდაპირებას და თქვენ თვალწინ გადიშლება საოცარი სინამდვილე გერმანიისა, მისი სამოც მილიონიანი ხალხისა. თქვენ იგრძნობთ იმ ელვისებურ სისწრაფეს, რომლითაც იქ არსებული წესწყობილება მიექანება ისტორიულ საიქიოს უფსკრულში.

უმთავრესი და ძირითადი განსხვავება და განხეთქილება ჩვენსა და მენშევიკებს შორის მდგომარეობდა და მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ დიამეტრალურათ წინააღმდეგი თვალსაზრისით ვუყურებთ და ვაფასებთ თანამედროვე კაპიტალიზმს. ჩვენი შეხედულება ჩვენ გადაწყვეტით და აშკარათ გამოვსთქვით კომინტერნის მესამე კონგრესზე ტროცკისა და ვარგას თეზისებში, რომელნიც მათ წარადგინეს შესახებ მსოფლიო ეკონომიური კრიზისისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ახალი ამოცანებისა. მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალის წარმომადგენელნი და მათთან, რასაკვირველია, რუსეთის და საქართველოს მენშევიკებიც, იმ აზრისა იყვნენ და არიან, რომ იმპერიალისტური ომის შემდეგ კაპიტალიზმი კვლავ ორგანიულ აღორძინების და განვითარების პროცესს განიცდის და ბურჟუაზია შეძლებს ეკონომიური წონასწორობის დამყარებას ქვეყნათ. ასეთმა გადაჭრამ თანამედროვე ეკონომიური საკითხისა, რასაკვირველია, პოლიტიკაშიაც შესაფერი ნაყოფი გამოიღო. სახელდობრ კაპიტალისტური სისტემის განახლების და აღორძინების იდეამ პოლიტიკაში წარმოშვა და განამტკიცა ბურჟუაზიულ - სოციალისტური ბლოკი, რეფორმისტული ილიუზიები, კლასთა შორის ზავის ტაქტიკა და მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლა. მენშევიკები (ჩვენებური და უცხოელი) ფიქრობდენ, რომ ზავი და მშვიდობიანობა დასტურ დამყარდება და კაპიტალიზმი ადვილად მოიშუშებს ომში მიღებულ ჭრილობებს და თავს დააღწევს კრიზისსო. ცხოვრების სუსხმა ეს ილიუზია სასტიკათ მიმოფანტა. მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოების მაგივრად იმპერიალიზმმა კიდევ უფრო გაალო თავისი სისხლიანი ხახა და კვლავ მრავალ მსხვერპლს უქადის შთანთქმას. საფრანგეთის იმპერიალიზმი ცეცხლითა და მახვილით მიარღვევს გზას გერმანელი ხალხის გულისაკენ. ის ელოდება მოხერხებულ მომენტს, რომ შეიჭრას ბერლინში და აქ დასცეს ამ ვეებერთელა კულტურულ ქვეყანას უკანასკნელი სასიკვდილო ლახვარი. ჩვენ ვდგევართ ახალი ომების და ახალი რევოლიუციების ციკლის წინაშე და ყოველგვარი ფიქრი კაპიტალისტური სისტემის ორგანიული განვითარებისა და განახლების, ეკონომიური წარმატებისა და წონასწორობის, ზავისა და მშვიდობიანობის შესახებ სრულიად უნიადაგო და შეუწყნარებელია. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის პირობების სწორი განხილვა, ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობის შესწავლა, სრულიად უეჭველად და თვალსაჩინოთ ხდის წარმოების კაპიტალისტური სისტემის და ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის ნგრევის და ლიკვიდაციის პროცესს. სავალიუტო კურსების ზღაპრული ცვალებადობა ნიადაგს აცლის სწორ კომერციულ ანგარიშს და თადარიგს. მსოფლიო და ნაციონალური ბაზრების დეზორგანიზაცია აჩერებს აღებ-მიცემობის მაჯის ცემას და შეუძლებლათ ხდის მის ნორმალურ მსვლელობას. სახელმწიფოთა და ქვეყნებს შორის ირღვევა ეკონომიური კავშირი და კაპიტალი ვერ პოულობს თავისუფალ სავარჯიშო სარბიელს. ომის და რევოლიუციის სუნი კაპიტალისტურ წრეებს მოხვევის და მოგების ვნებას უშხამავს და კლასობრივი შიში ფრთებს უკვეცავს მათ ზრახვებს. ეხლანდელი ვაჭრობა ღელვის დროს გემზე ბილიარდის თამაშს მოგვაგონებსო, სხარტულათ დაახასიათა ერთხელ ლოიდ-ჯორჯმა დღევანდელი ეკონომიური სიტუაცია. სიძვირე და უმუშევრობა სულს ხდის მუშათა მასებს და განადგურების და გადაგვარების გზაზე მიერეკება მათ. ვეებერთელა ქვეყნები იდევნება მსოფლიო ვაჭრობა-მრეწველობის წრიდან და ეკონომიური რუკა სულ სხვანაირათ იმიჯნება.

ქაოსი უკვე აღწევს იმ წერტილს, როცა იგი ყველაფერს და ყოველივეს შთანთქმას უქადის და მუშათა კლასის წინაშე მთელის თავის საშინელებით და აუცილებლობით სდგება საკითხი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა. სხვა გამოსავალი არ არის. ყოვლად აშკარა და უეჭველია დღეს, რომ ქაოტიური და სტიქიონური ფორმა მეურნეობისა უნდა შეიცვალოს შეგნებული და ორგანიზაციული ფორმით. რომ კაპიტალისტურმა კლასმა დაჰკარგა აზრი თავისი არსებობისა, ის გარდაიქცა მეურნეობის შემაფერხებელ ძალათ, მის დამპალ მეტხორცათ. წარმოების პროცესში მას აღარავითარი დადებითი, პროგრესიული მნიშვნელობა აღარ აქვს. გაძვალტყავებულ, უმუშევრობით და შიმშილით განაწამებ მუშათა კლასს უნდა დაუბრუნდეს ის ზედმეტი ღირებულება, რომელსაც გაუმაძღრათ ნთქავს კაპიტალისტური კლასი. შრომა უნდა განთავისუფლდეს კაპიტალისტური მონობისაგან და პროლეტარიატმა უნდა ჩაიგდოს ხელში საზოგადოებრივი ცხოვრების და მეურნეობის სადავეები.

მუშათა კლასმა უნდა დაამხოს კაპიტალისტური კლასი, მოსპოს კაპიტალისტური სისტემა წარმოებისა და დაამკვიდროს სოციალისტური მეურნეობა. ასეთია ისტორიის კარნახი. წინააღმდეგ შემთხვევაში კაცობრიობას სრული განადგურება, გადაგვარება და გამხეცება მოელის.

ახლოვდება ჟამი დიდი და საშინელი ბრძოლებისა. წინასწარი შეტაკებანი უკვე დაიწყო. და ვინც ეხლა, ასეთ დროს, ასეთ პირობებში, ასეთი აშკარა და დიადი ფაქტების წინაშე, კიდევ გაიძახის, რომ ევროპა განიცდის ხანას კაპიტალიზმის აღორძინების და მისი ორგანიული განვითარებისა, რომ ახლოვდება ბურჟუაზიული დემოკრატიის მეფობა და თანამედროვე საზოგადოება—შერყეული ომით, ეკონომიური კრიზისით და რევოლიუციონური მღელვარებით—კიდევ უფრო მეტათ განმტკიცდება კერძო საკუთრების და პარლამენტარიზმის ნიადაგზეო, მას მიმდინარე ისტორიული მომენტის არა ესმის რა. ამაშია უმთავრესი განსხვავება ჩვენსა და მენშევიკებს შორის.

ჩვენი ძირითადი დებულება მიმდინარე ისტორიული მომენტის შესახებ შეურყეველი რჩება. მისი ჭეშმარიტება მტკიცდება არა მხოლოდ თეორეტიულ ლოღიკურ გზით, არამედ ფაქტებით და სინამდვილით.

მენშევიკები-კი მაინც თავისას გაიძახიან. მათ სწამთ, რომ „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“, რომ საბჭოთა წესწყობილება რუსეთში დაიმხობა და მის ალაგს დაიჭერს ევროპიული სახელმწიფოებრივი ფორმები; რომ რევოლიუციონური აღტკინება ევროპის პროლეტარიატისა გაივლის, ვითარცა სიზმარი ღამისა და დემოკრატიული რესპუბლიკა და პარლამენტი აფრიალებს გამარჯვების დროშას. ამას აღიარებს დღეს მენშევიზმის საუკეთესო წარმომადგენელი ნოე ჟორდანია.

რა არის დემოკრატიული სახელმწიფო საზოგადოთ და მენშევიკების წარმოდგენით. საზოგადოთ, ობიექტიური თვალსაზრისით, იგი ბურჟუაზიის განუყოფელი ბატონობაა, კაპიტალისტური სისტემის და ექსპლოატაციის დაკანონებაა, პროლეტარიატის ეკონომიური და პოლიტიკური მონობის განსახიერებაა. მენშევიკები-კი ფრაზეოლოგიის ქსელში ხვევენ ამ არსებით მხარეს, ამ ბუნებრივ შინაარსს სახელმწიფოებრივი დემოკრატიზმისა და დალადებენ ხალხზე, ხალხურ კანონმდებლობაზე, უფლებრივ თანასწორობაზე და პოლიტიკურ თავისუფლებაზე. დემოკრატიზმი არ არის არც ბურჟუაზიის და არც პროლეტარიატის ბატონობა, არც პირველის და არც მეორეს ძალაუფლება და მართვა-გამგეობა,—ამბობენ ისინი. მაშ რა არის დემოკრატია? დემოკრატია არის ხალხის მართველობა, მისი სუვერენობა, გვიპასუხებენ მენშევიკები. ხალხი კი, მათი შემეცნებით, ყველა საზოგადოებრივი ელემენტებისაგან შემდგარი ერთეულია. ესე იგი ბურჟუაზია, წვრილი ბურჟუაზია, პროლეტარიატი. მაშასადამე დემოკრატია ყოფილა მართველობა ყველა კლასების. იგი ყოფილა აშენებული ყველა კლასების ერთნაირ, თანასწორ მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებზე. ყველა ერთად და არავინ ცალკე—აი ლოზუნგი საერთაშორისო მენშევიზმისა. აქედან ლოღიკური აუცილებლობით იბადება კოალიციონური ფორმა მართველობისა. კლასთა კოალიცია ედება ქვაკუთხედათ მენშევიზმის სახელმწიფოებრივ პროგრამას და პრაქტიკას. კაპიტალისტი და მემამულე, მოხელე და ხელოსანი, გლეხი და მუშა—ყველა ხელიხელ ჩაკიდებული, ერთი მეორეს გვერდში ამომდგარი უნდა ერთს საქმეს აკეთებდენ: ერთად განაგებდენ სახელმწიფოს და ხალხის ბედ-იღბალს. რეალურ სინამდვილეში ეს „იდილია“ შეუთანხმებლობისა ყალიბდება, როგორც ბურჟუაზიის სრული ბატონობა. და განა შესაძლებელი და წარმოსადგენია სხვა რამ, როცა ეკონომიური უთანასწორობა, ეკონომიური ჩაგვრა-ექსპლოატაცია ხელუხლებელი რჩება, ბურჟუაზია გაბატონებული ეკონომიურათ ბატონობს პოლიტიკურათაც.

წვრილი მესაკუთრეთა კლასი და პროლეტარიატი წარმოადგენენ მხოლოდ მისი ჩაგვრის და ექსპლოატაციის ობიექტს. აქედან სრულიად ცხადი და აშკარაა, რომ მენშევიკების „დემოკრატია“, „კოალიცია“, „ხალხის სუვერენობა“ და სხ. ეს კაპიტალისტური კლასის სრული და განუყოფელი ბრძანებლობაა. მენშევიკები გამოდიან იმ ძირითად დებულებიდან, რომელიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, სახელდობრ: კაპიტალიზმი განიცდის ორგანიულ ზრდას და ბურჟუაზიას ძალუძს ეკონომიურ წონასწორობის დამყარებაო. ამით აიხსნება, რომ ისინი ასეთი გაფთრებით და გაშმაგებით ებრძვიან პროლეტარიატის დიქტატურის იდეას და მის მატარებელ კომუნისტურ პარტიებს. მენშევიკებმა ან უნდა უარყონ თავის მენშევიკური „მე“ და ან სხვანაირად მათ მოქცევა არ შეუძლიათ, რადგან პროლეტარიატის დიქტატურა კაპიტალიზმის დასამარებას და კაპიტალისტური კლასის დამხობას ნიშნავს... ისინი იბრძვიან ბურჟუაზიის მხარეზე, ესე იგი რეაქციის და კონტრ-რევოლიუციის პოზიციაზე მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ.

ასეთია ირონია ბედისა: მუშათა პარტია მუშათა წინააღმდეგ იბრძვის. და ეს ბრძოლა არ იფარგლება მხოლოდ იდეიური სფეროთი, არამედ ცხოვრებაში მუშათა სისხლის ნაკადულებათ იქცევა... ამის საოცარ მაგალითებს ამ უკანასკნელ დროს იტალია, ბულგარეთი და გერმანია გვიჩვენებს. დღევანდელ პირობებში მენშევიკური იდეა აუცილებლათ უნდა გაკოტრებულიყო და იგი კიდევაც კოტრდება საოცარის სისწრაფით.

დღეს, როდესაც ცენტრალურ ევროპაში რევოლიუციის ცეცხლის ალქნები უკვე აშვებულია; როცა კლასი კლასზეა მიჭრილი და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის პრელუდიაა დაწყებული; როცა პროლეტარიატის აქცია დაპირდაპირებულია ბურჟუაზიის რეაქციასთან და საბედისწერო პრობლემა წითელი, თუ შავი დიქტატურისა ცეცხლითა და მახვილით უნდა გადიჭრას,—დღეს, ვიმეორებთ, როცა ისტორია ასე აყენებს საკითხს ან—ან, ან კაპიტალისტური კლასის დიქტატურა და პროლეტარიატის დამარცხება, სისხლიდან დაწრეტა, ან მუშათა რევოლიუციის გამარჯვება და კაპიტალიზმის აღგვა პირისაგან ქვეყნისა, და ეს საკითხი ხიშტის წვერზეა დაყენებული და სიტყვა უკვე ტყვიისმფრქვეველებს და ზარბაზნებს ეკუთვნის,— ამისთანა დროს, ასეთ ისტორიულ პირობებში, მენშევიზმი მისი „დემოკრატიით“, „კოალიციით“, „ხალხის სუვერენობით“ და პარლამენტარიზმით მტვრისგან და ნაცრისგან აშენებულ პოზიციას წარმოადგენს, რომელსაც სასტიკი ქარი რევოლიუციისა ჰფანტავს და უკვალოთ ანიავებს ისტორიის სივრცეში.

„ან-ან“ ვსთქვით ჩვენ და ეს არაა საკითხის მეტაფიზიკური დასმა. არა! ეს არის დიალექტიური პროცესის ის უკანასკნელი სტადია, როცა რაოდენობა იქცევა თვისებათ, რასაც ენგელსი ნახტომს ადარებს და კაუცკი მშობიარობის აქტს. მენშევიკების წინაშეც ასე სდგას საკითხი: ან რევოლიუცია, ან კონტრ-რევოლიუცია, ან სტინეს-შტრეზემანი, ან მუშათა კლასის მთავრობა.

Tertium non datur... ცდა, კუდის ქიცინი და მერყეობა უკვე შეუძლებელია. ამის დრო უკვე წავიდა.. და ამიტომ სოციალ-დემოკრატიული პარტია, როგორც ამნაირი, იშლება და იქსაქსება. გერმანიაში ნაწილი აშკარათ ემხრობა შეიარაღებულ კონტრ-რევოლიუციას, ნაწილი კი პროლეტარიატის რიგებში სდგება. ამას აღიარებს თვით ჰილფერდინგი გერმანელ მენშევიკების ერთი მამამთავართაგანი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერლინის ორგანიზაციის უკანასკნელ კონფერენციაზე მან განაცხადა: **ჩვენი გავლენა მასებზე შესუსტდა. ჩვენის გაზეთების ტირაჟი კატასტროფიულათ ეცემა. ამხანაგებო, ნუ მივეცემით ილიუზიებს. რასაც ჩვენ განვიცდით, ეს ხდება არა მარტო გერმანიაში. მიმოიხედეთ გარშემო. მთელ დედა-მიწის ზურგზე სოციალ-დემოკრატია დამარცხებულია. არსად აღარ მოიპოვება ეხლა ძლიერი სოციალ-დემოკრატიული პარტია. ლიხშტაინ-კი, ძლიერი მუშათა პარტია, მიუხედავათ მისი გამარ... ჯვებისა არჩევნებში, უძლურია გა... ცეს ყოველდღიური გაზეთი.** ... გიმყოფებით ისეთ აუტანელ ... და სატირალ მდგომარეობა... რაც პარტიას და მუშათა ... რაობას არასდროს არ გა... დიათ“-ო. ამას ამბობს თვით ... ფერდინგი და ჩვენ ჩვენი აზრის სამტკიცებლათ უკეთესი საბუ... გვესაჭიროება. სოციალ-დემოკ... იშლება, რადგან ობიექტიური ... ბები მისი არსებობისა ისპობა. ... დაგი ეცლება „დემოკრატიის“ „პარლამენტარიზმის“ არსებობა...

ეს კარგათ ესმის კაპიტალ... წრეებს და მათ იდეიურ წარმ... გენლებს. აი რას სწერს სტ... გაზეთი „დოიჩე ალგემეინე ...:

„მიმდინარე რევოლიუცი... ეპოქისათვის დამახასიათებელი... რეთ ის ფაქტი, რომ **პარლ... რულმა სისტემამ უკვე** ... **მოსჭამა.** რუსეთში არ არ... პარლამენტი. იტალიის და ... ამბები მიგვითითებენ აგრეთვე ... **ლამენტარიზმის გაკოტრებაზე** ... უფრო გამწვავებულია გარეშე ... მარეობა ქვეყნისა, მით უფრო ... გრძნობია **პარლამენტის გაუქ... აუცილებლობა**, ან ყოველ ... ვაში მისი უუნებლათ ქმნა. ... ნებისყოფა ხელთ იგდებს ... კურ ძალაუფლებას, და ამ... იქმნება **დიქტატურა. გერმანი... ლამენტარიზმმა უკვე ხელ... ტევა.** მისი ისტორიული მის... მარეობდა იმაში, რომ ის ... წარმოადგენდა „სისხლის ... ჩვენი მოსისხლე მტრისათვ... **ადგილს დაიჭერს დიქტატ...**“

ამნაირათ პარლამენტარიზმ... დაგობას, მის უკანასკნელ ... ღაფვას კარგათ გრძნობს თვ... ჟუაზიაც, რომელიც აქნამ... ლამენტის საშუალებით ი... ვის კლასობრივ ინტერეს... გორც სჩანს ეს საშუალება ... ეხლა საკმარისი და დამაკმ... წელი აღარ არის. პარლამენ... და დემოკრატიას ჯერ კიდ... უჭებიან მენშევიკები, თუ... ცესი მათი დაქსაქსვის, გა... დიფერენციაციისა დღით...

საქართველოს დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაცია

კვირას, 28 ოქტომბერს. ქალ. ტფილისის აღმასკომის შენობაში შესდგა საქართველოს დემოკრატიულ პარტიის (გაერთიანებული ეროვნულ დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიული პარტიები და უპარტიოთა კავშირი) ყრილობა. დაესწრო 36 დელეგატი გადამწყვეტი ხმით.

კრება გახსნა საორგან. ბიუროს თავმჯდომარემ პ. გოთუამ, რომელმაც თავის სიტყვაში მოკლედ დაახასიათა ისტორია პარტიისა, თანამედროვე პოლიტიკური ვითარება და ახსნა მიზეზები, რომელთა გამო მოწვეულია პარტიის ეხლანდელი ყრილობა.

პრეზიდიუმში აირჩიეს: იასონ ლორთქიფანიძე, დიმ. ჯავახიშვილი და კოტე ტყავაძე; მდივნად—ნიკო კაიშაური და ბ. ვაშაკიძე. კრებამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება და ყრილობა აღიარა კანონიერად. შემდეგ წაკითხულ იქნა ვრცელი მოხსენება პარტიის პროგრამისა, ტაქტიკისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. კრებამ დაადასტურა მოხსენება და მიიღო ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია:

საქართველოს გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის (ეროვნულ დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიული პარტიები და უპარტიოთა კავშირი) ყრილობამ მოისმინა მოხსენება ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და მიიღო მხედველობაში:

1. რომ მთავარი მიზანი ეროვნული მიმდინარეობისა საქართველოში იყო ქართველი ხალხისათვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება;

2. რომ რევოლიუციის პროცესში წარმოებულმა მოვლენებმა ქართველი ხალხის განთავისუფლების საქმე მტკიცე ნიადაგზე დააყენა და საქართველოს დამოუკიდებლობის განხორციელება თვით მმართველი პარტიის პრობლემად აქცია;

3. რომ არსებული საბჭოთა სისტემა მმართველობისა და პროლეტარიატის დიქტატურისა ჩვენში სრულიად უარჰყოფს ამავე დროს და ამავე პირობებში არა სოციალისტური პოლიტიკური პარტიის არსებობას;

4. რომ ასეთი პარტიის არსებობას და აქტიურ მოქმედებას წინააღმდეგ არსებული საბჭოთა ხელისუფლებისა დიდი ზარალი და მსხვერპლი მოაქვს ხალხისათვის, დაადგინა:

1. საქ. დემოკ. პარტიის მიერ გაცემული მანდატები გაუქმებულ იქნეს ყოველგან.

2. საქ. დემოკ. პარტიის კავშირი „პარიტეტის" კომიტეტთან მოისპოს.

3. საქ. დემოკ. პარტია (გაერთ. ერ. დემ. ეროვნული, რად. დემ. და უპარტიოთა კავშირი) გამოცხადებულია დაშლილად, და ამის შემდეგ არავის აქვს უფლება იმოქმედოს პარტიის სახელით.

4. საქ.-დემ. პარტიის ყრილობა მოუწოდებს პარტიის ყველა ყოფილ წევრებს ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ აღმშენებლობითი მუშაობაში.

სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ ხასიათის ქონებათა განსაზღვრა. ის ქონება, რომელიც არ იყო მიმაგრებული ცენტრალურ დაწესებულებებისადმი, მექანიკურათ გადაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში.

მორიგ საკითხს წარმოადგენს აგრეთვე სახელმწიფო მრეწველობის გადასახადით დაბეგვრა. საკავშირო ცაკ-ის მიერ გამომუშავებული იქნება დეკრეტი მიწის რენტის შესახებ. დეკრეტი დააწესებს ძირითად რენტას, რომელიც უნდა გადაეცეს სახელმწიფოს განკარგულებაში, და დამატებითი რენტას, რომელიც ადგილებს გადაეცემა. ფინანსთა სახ. კომისარიატი ამზადებს გადასახადს შემოსავლის ქვალობაზე. სახალხო კომისართა საბჭოში ირჩევა, აგრეთვე, საკითხი სახელმწიფოსათვის განსაზღვრულ პროცენტის გადაცემის იმ კაპიტალებიდან, რომლებიც ცალკე წარმოებებს დაუბრუნდა.

ამხ. ვლადიმიროვი აღნიშნავს, რომ ტყეების ექსპლოატაცია მშვიდობიანობის დროს იძლეოდა ყოველწლიურად 200 მილიონ მანეთს, მიმდინარე წელს-კი შესძლებელი იქნება მაქსიმუმ 50 მილიონი მანეთის მიღება, რადგან სახელმწიფომ აქამდე ვერ მოაგვარა საყვებით სატყეო მეურნეობის მართვა-გამგეობა. ამხ. ვლადიმიროვი, ადგილობრივი ბიუჯეტის მიზანშეწონილ წესრიგის უზრუნველყოფისათვის, საჭიროთ სთვლის, რომ საგუბერნიო აღმასკომებმა ხელი აიღონ ადგილობრივ საბიუჯეტო ხარჯების თავის განკარგულებაში დაგროვებაზე. დასასრულს ამხ. ვლადიმიროვი აღნიშნავს, რომ სამაზრო აპარატების გამარტივების ცდამ არ გამოიწვია მუშაკთა რიცხვის შემცირება და რომ საკითხი არაჩვეულებრივათ შემცირებულ ხელფასის შესახებ მჭიდროთ არის დაკავშირებული შტატებისა და ხარჯების შემცირების საკითხთან. იმ შემთხვევაში, თუ მუშაობა სწრაფი ტემპით განვითარდება, ადგილობრივი ბიუჯეტი საბჭოთა რესპუბლიკის კოლოსალურ ძალათ და სიამაყეთ გადაიქცევა.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბოროტმოქმედება აზერბეიჯანის თამბაქოს ტრესტში.

ბაქო. 28 ოქტომბერი. ბაქოს პროკურატურის განკარგულებით დაპატიმრებულია აზერბეიჯანის თამბაქოს ტრესტის უფროსი კრიმოვი, მისი თანაშემწე მირზა ზეკიანცი და მექანიკოსი კარამოვი, რომელთაც ბრალი ედება ბოროტ-მოქმედება თანამდებობის შესრულების დროს. დაპატიმრებულია აგრეთვე ორი ვაჭარი, რომელთაც დამოკიდებულება ჰქონდათ ტრესტთან. გამოძიება სასწრაფოდ სწარმოებს.

პროკურატურის შტატები.

ბაქო. 28 ოქტომბერი. იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ წინადადება მისცა სახელმწიფო პროკურატურას, გადასინჯოს პროკურატურის შტატი რესპუბლიკის მასშტაბით, რათა გადიდებულ იქნეს რიცხვი თურქ მუშაკების საერთო რაოდენობის 50 პროცენტამდე, განსაკუთრებით მაზრებში და აგრეთვე მიღებულ იქნეს ზომები თურქების საპროკურორო მუშაობისათვის მოსამზადებლათ.

სომხეთი.

სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ერევანი. 28 ოქტ. სახალხო კომისართა საბჭომ, განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით, სახალხო უნივერსიტეტს უწოდა სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დახმარება გერმანიის პროლეტარიატს.

ერევანი. 28 ოქტ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მოსამსახურეთა კომუჯრედის და ადგილობრივი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე მოისმინეს მოხსენება გერმანიის რევოლიუციონურ მოძრაობის შესახებ და 50 მოსამსახურის თანდასწრებით ერთხმად დაადგინეს—თითო დღის ხელფასი გადადონ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ.

პარტიული ცხოვრება

გურია

20 ოქტომბერს გაიხსნა საქ. კომპარტიის გურიის ორგანიზაციის მეხუთე კონფერენცია. კონფერენციას ხსნის სამაზრო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. მგალობლიშვილი. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. მგალობლიშვილი, ა. დოლიძე, თ. დოლიძე, ქ. გურგენაძე, თ. ჩიჩუა, გ. ტაკიძე და ს. ცინცაძე.

კონფერენციის სამდივნოში არჩეულ იქნენ: ქ. ბარამიძე, ვასო როინიშვილი და შალვა გოგეშვილი. საპატიო თავმჯდომარეებათ: ლენინი, ტროცკი, მ. ცხაკაია, ელიავა, მახარაძე, ვარდინი, დუმბაძე და ქ. ცინცაძე.

კონფერენციამ დაამტკიცა და მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: მოხსენება მომენტზე. მაზრკომის და სარევიზიო კომისიის ანგარიში. ანტირელიგიური კამპანია და ჩვენი მომავალი ტაქტიკა საეკლესიო საკითხებში. მენშევიზმის გახრწნა. მაზრის რაიონებად დაყოფა. არჩევნები.

კონფერენცია მისასალმებელ დეპეშას უგზავნის ლენინს, გერმანიის პროლეტარიატს და საქ. კომპ. ცეკას.

მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. შალვა ელიავა, რომელიც ჯერ ახასიათებს საბჭოთა ფედერაციის საშინაო მდგომარეობას და შემდეგ გადადის გერმანიაში შექმნილ ძალთა განწყობილებაზე. ეხება ვერსალის ხელშეკრულებით შექმნილ მდგომარეობას გერმანიაში და აღნიშნავს, რომ მემარჯვენე სოციალისტების მიერ წარმოებულ მუშათა კლასისათვის დამღუპველ პოლიტიკას მიყავს გერმანია სრულ დაცემამდე და განადგურებამდე, რაც საშინელ სიღატაკეში აგდებს და უმუშევრათ სტოვებს ასიათასობით მუშა ხალხს. ამ მდგომარეობიდან—ამბობს ამხ. შალვა, გერმანიის პროლეტარიატს გამოიყვანს არა ჰილფერდინგი და შეიდემანი, არა პარლამენტალური ზღაპრები, არამედ რევოლიუციონური პროლეტარიატის შეიარაღებული ბრძოლა, რომელიც უკვე დაიწყო გერმანიაში.

მოხსენება გაგრძელდა 2 სახ. საათი. მომხსენებელს აჯილდოვებენ ხანგრძლივი ტაშით და ოვაციებით.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ გურიის ორგანიზაცია საჭიროების დროს მზად არის გაუწიოს აქტიური დახმარება გერმანიის პროლეტარიატს.

მაზრკომის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გრიგოლ მგალობლიშვილი. სარევიზიო კომისია ამხ. კილაძის პირით ადასტურებს მგალობლიშვილის მოხსენებას კომიტეტის მუშაობის შესახებ, რის შემდეგ კონფერენცია ერთხმად იწონებს და დამაკმაყოფილებლათ სცნობს კომიტეტის მუშაობას. მიღებულ იქმნა აგრეთვე სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მიერ წარმოდგენილი თეზისები მომავალი მუშაობის შესახებ.

ანტი-რელიგიური კამპანიის საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კოლია ბარამიძე, რომელიც მოკლეთ აღნიშნავს ჩატარებულ მუშაობას ამ დარგში და იმ შედეგებს, რომლებიც მიღწეულია. შემდეგ განმარტავს უკანასკნელათ გამოსულ დეკრეტს რელიგიის შესახებ და მოუწოდებს კრებას მასთან შეფარდებით აწარმოონ მუშაობა საეკლესიო საკითხებში. კონფერენცია გასულში წარმოებულ მუშაობას სცნობს სწორათ და მიზანშეწონილათ, მხოლოთ მომავალში ავალებს კომიტეტს განაგრძოს პროპაგანდა; აგრეთვე მიიღოს ყოველივე ზომები გაუქმებულ ეკლესიების კულტ-დაწესებულებებათ გადაკეთებისათვის.

ამხ. თ. დოლიძე აკეთებს მოხსენებას მენშევიზმის გახრწნის შესახებ, რომელიც კონფერენციამ მიიღო ცნობად.

მაზრის რაიონების დაყოფის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ანდრო დოლიძე და აღნიშნავს მაზრის რვა მსხვილ რაიონად დაყოფის საჭიროებას და აუცილებლობას აღმშენებლობითი მუშაობის ნორმალური მსვლელობისათვის. კონფერენციას მიზანშეწონილათ მიაჩნია მაზრის 8 რაიონათ დაყოფა, მხოლოთ ავალებს კომიტეტს, რათა მიიღოს ზომები ისეთ ადგილებში, რომლებიც დაშორებული არიან რაიონებს, დარჩეს მაჩისის განყოფილებები, სადაც ტეხნიკურათ მოხერხდება.

სამაზრო კომიტეტში არჩეული იქნენ: გრიგოლ მგალობლიშვილი, ანდრო დოლიძე, კოწია გურგენაძე, ივლიანე სურგულაძე, ვალოდია თავართქილაძე, მიხაკო მკურნალი, თედორე დოლიძე, თეოფილე ჩიჩუა, ნეოფიტე ქეიშვილი; კანდიდატ.: კოლია ბარამიძე, მამია კილაძე, შალვა გოგეშვილი. სარევიზიო კომისიაში: ვასო როინიშვილი, მელიტონ ტაკიძე, და გიორგი მახარაძე.

21 ოქტომბერს, დღის 2 საათზე კონფერენცია ამხ. თ. დოლიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ იხურება და ფეხზე ადგომით პატივს სცემს ახლად გარდაცვალებულ კომკავშირის დამაარსებელ ამხ. ბორის ძნელაძის ხსოვნას.

დანიძე.

მარტვილის რაიონი (სენაკის მაზრა)

სენაკის მაზრის ერთი შორეულ რაიონთაგანია მარტვილის რაიონი, რომელიც აერთებს ხუთ თემს. რაიონს აკლია მარქსისტულად საკმაოდ მომზადებული პარტ-მუშაკები, ვინაიდან მარტვილის რაიონის პარტ. ორგანიზაციას არ დაბრუნებია უკან არც ერთი ის პარტამხანაგი, რომელიც გაიგზავნა ცენტრალურ პარტსკოლაში; მასთან ეს რაიონი თავის დროზე ვერ ღებულობს საჭირო ლიტერატურას და ჟურნალგაზეთებს, რაც ძალიან აძნელებს პარტმუშაობის წარმოებას. მიუხედავად ასეთ არა ხელსაყრელი პირობებისა პარტ. ორგანიზაცია განაგრძობს მუშაობას საკუთარი ძალებით და საშუალებებით სცდილობს არ ჩამორჩეს სხვა უფრო დაწინაურებულ პარტორგანიზაციებს. სისტემატიურად თვეში 4-ჯერ ეწყობა და აგრეთვე მთელი თემის მასშტაბით 2 ჯერ უჯრედების კრებები. გადახალისებულ და შემოკლებული იქნა პოლიტ-წრეები, რომლებიც ფორმალურად ირიცხებოდენ და სინამდვილეში არ არსებობდენ, ვინაიდან მეცადინეობა არ სწარმოებდა. დღიდან გადახალისებისა და შემოკლებისა პოლიტწრეებში სწარმოებს მეცადინეობა თვეში 8-ჯერ, გადიან „პოლიტიკურ ანბანს" ამხანაგები დიდ ენერგიას იჩენენ მეცადინეობაში. საჭიროა მხოლოდ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია პარტიის წევრებში მოხდეს რაც შეიძლება დაჩქარებით, რომ არც ერთი პარტ. ამხანაგი არ დარჩეს პოლიტწრეების გარეშე.

ი. მონიავა.

ძლიერდება. უმთავრესათ სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელი წრეები, მისი ბიუროკრატია და არისტოკრატია, კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადადიან და კაპიტალისტურ მთავრობებს უჭერენ მხარს მუშების და გლეხების რევოლიუციონურ გამოსვლების სისხლში ჩასაღრჩობათ. გაიხსენეთ იტალიის, ბულგარეთის და გერმანიის დღევანდელი ამბები. პარტიის დაბალი წრეები-კი, სწორი კლასობრივი ინსტინქტით გამსჭვალულნი, პროლეტარიატის ბრძოლის გაერთიანებულ ფრონტზე სდგებიან. ამის საუცხოვო მაგალითებს იძლევა იგივე გერმანია.

იწყება დიადი სოციალური ბრძოლა დასავლეთ ქვეყნებში. კლასი კლასის წინაშე ირაზმება და ემზადება სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებისათვის. ბრძოლის დროს-კი საჭიროა ადვილათ მოძრავი, მჩატე, ძლიერი და სასტიკი ორგანიზაცია. ტლანქი, უხეში და მძიმე პარლამენტარული ფორმა სრულიად გამოუსადეგარი და მოუხმარებელია ასეთ დროს. ამიტომ ცხოვრება მას წესს უგებს და სვამს საკითხს დიქტატურის შესახებ. გაბატონებული კლასები უკვე ანხორციელებენ თავის დიქტატურას. იტალიაში ბენიტო მუსოლინი ფეხით სთელავს ხალხის წარმომადგენლობას—პარლამენტს—და აცხადებს ბურჟუაზიის შეიარაღებულ დიქტატურას. ისპანიაში ბარცელონის გენერალ-გუბერნატორი პრიმა-დე-რიბერა რეკავს კორტესებს (პარლამენტს), აუქმებს კონსტიტუციას, სპობს სამოქალაქო მსაჯულებას და მის მაგიერ აწესებს სამხედროს, ემყარება ეგრეთ წოდებულ „სომატენებზე" (ისპანელ ფაშისტებზე) და მუშათა ორგანიზაციებს და მოძრაობას სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებს. გერმანიაში რეიხსტაგი თვით იჭრის ყელს და თანხმობით ყველა მისი ფრაქციებისა (მათ შორის განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიულისა) შტრეზემანი და გესლერი იღჭურვება განუსაზღვრელი დიქტატორული უფლებებით. ეს კონტრრევოლიუციონური დიქტატურა სოციალ-დემოკრატ—ებერტის, შეიდემანის და სხ. ლოცვა კურთხევით თავსესხმება მუშათა კლასს, უსპობს მას რვა საათის სამუშაო დღეს და მისი სისხლით ღებავს ქუჩებს და ქალაქის მიდამოებს.

რათ ხდება ასე? იმიტომ, რომ ევროპამ უკვე შეაბიჯა ფეხი რევოლიუციონურ ხანაში და აწი მისი შეჩერება, ან უკან დაბრუნება (როგორც მენშევიკებს ჰგონიათ) ყოვლათ შეუძლებელია. ჯერ ცეცხლი ინთება მის შუაგულში—ცენტრალურ ქვეყნებში—და აქ გაჩაღებული იგი მოედება მეზობელ ქვეყნებსაც. ეს აუცილებელია. ამ ცეცხლში იწრთობა და ფოლადდება პროლეტარიატის დიქტატურა, რომელმაც უნდა დაამხოს და დაასამაროს შტრეზემან-ლიუდენდორფ-ებერტის დიქტატურა.

არსებული ქაოსი მსოფლიო მეურნეობაში—მთელი მისი საშინელი შედეგებით—შეურჩევლათ მიაქანებს ევროპას რევოლიუციონურ კატასტროფისაკენ. სხვა გზა არარსებობს. **ამ გზის ხათავე და დახაბამია დღეს გერმანია.** შესაძლებელია დღეს გერმანიის პროლეტარიატი დაამარცხოს კაპიტალისტ-იუნკრების დიქტატურამ, მაგრამ განა ეს მოსპობს იმ ვულკანიურ ძალების ბობოქრობას, რომელნიც გამოსავალს ეძებენ? დღეს შეიძლება გერმანია განიცდის მხოლოდ რუსეთის რევოლიუციის ივლისს, მაგრამ ივლისის დამარცხება ხომ წინამორბედი იყო ოქტომბრის გამარჯვებისა. კალენდარულათ გამოანგარიშება-კი შეუძლებელია.

1892 წელს ენგელსი სწერდა Almanach du Parti Ouvrier-ში სოციალისტურ საფრანგეთისა და სოციალისტურ გერმანიის შორის შეუძლებელია წამოიჭრას რაიმე ელზას-ლოთარინგიისებური საკითხი. ასეთი საკითხი გადაჭრილი იქნება უცბათ. საქმე მხოლოთ იმაშია, რომ საჭიროა ცდა კიდევ **„დაახლოვებით 10 წელიწადით"**... ის, რასაც ელოდა ენგელსი 1902 წ. საფრანგეთ-გერმანიაში, სრულდება ეხლა და ამის უტყუარ საბუთს გერმანიის სინამდვილე იძლევა. უკანასკნელი და ბედისგადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო. შესაძლებელია ბრძოლის ველზე რამოდენიმეჯერ კიდეც წააქცეს პროლეტარიატმა, მაგრამ ჩვენთვის სრულებით უეჭველია ის, რომ **ახლო მომავალში** მისი დაკოჟრილი ხელი ყელში სწვდება კაპიტალისტურ კლასს და მისი მუხლის თავი ჩაუნგრევს მას გულის ფიცარს.

ხ. ქავთარაძე

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.
(30 ოქტომბერი).

ჩერვონცები — — —	93,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	89,000
ჩეკები —	87,300
დოლარები ეფექტ. —	20,500
ჩეკები	19.000
ოსმ. ქალ. ლირა	10.500
იტალიური ლირა	600
ფრანგული ფრანკი	900
საბჭ. ფულის ნიშნები	13

მუშკოოპის ფასები.
(30 ოქტ.)

პური 1 ხარ.—400 ათ., პური 2 ხარ.—325, ძროხის ხორცი—1 მილ. ცხვრის ხორცი—1400 ათ., შაქარი რაფინადი 3.700 ათ., ფხვნილი შაქარი 2750 ათ., მაკარონი—1250 ათ., კარტოფილი—120 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.
(29 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ. 450—550 ათასი, პური 2 ხარ.—350, ძროხის ხორცი—1200, ცხვრის ხორცი—1500, შაქარი რაფინადი 3750, ფხვნილი შაქარი 2800, ბრინჯი აღდაშის 850, მაკარონი 1300, კარტოფილი 125—150.

ბირჟის მიწოდება.
(29 ოქტომბ.)

აღდაშის ბრინჯი. ფხვნილი შაქარი რუს. ლუსმნები. შაბიამანი კანიფოლი. სპილენძი (წითელი). ცენტროსოიუზის ჩაი. აბრეშუმი (დაურთავი). ტყის მასალა. რუს. მანუფაქტურა. იტალიური მანუფაქტურა. სკიპიდარი ფრანგული. ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა. კაუსტიური სოდა. ასანთი რუს. საპონი. მელის ზეთი. ცემენტი და ეტერნიტი. მზესუმზირას ზეთი. რკინეულობა. ელექტრო-ტეხნიკური მასალა.. სალამასი. ქვა-მარილი ნახიჩევანის.

ბირჟის მოთხოვნილება.

სალამასი. ზეთი. საკონდიტრო ფქვილი ყუბანის ფხვნილი შაქარი შაქარი რაფინ. რუს. ტექნიკური ცხიმი. ლურსმნები. აბრეშუმი. ჩაი. ასანთი რუს.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ტფილისის ბაზრის საერთო განწყობილება—უწინდებურად უმოქმედოა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

29 ოქტომბერს ბირჟის გარეშე დადებულია 21 გარიგება, სულ 174805 თანხისა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

დღეს იმავე მიზეზით, როგორც გუშინ, ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსმა ძალიან იმატა. ჩერვონცის კურსი აიწია. 6.800 ათ. მანეთით. მოთხოვნილება დიდია.

საქ. ს. მ. უ. ს. სამთო-მადნო განყოფილებაში.

ამიერ-კავკ. რკინის გზამ შეუკვეთა სამთო-მადნო განყოფილებას 170.000 ცალი ცეცხლმაგარი აგური „შრომის" ქარხნიდან.

ჭიათურაში.

ჭიათურის რკინის გზის ხაზზე მოხდა საცდელი გადაზიდვა შავი-ქვისა საგანგებო დატვირთულ მატარებლით. გამოირკვა, რომ შესაძლებელია დატვირთვის ნორმის აწევა 20 ათას ფუთიდან 25 ათას ფუთამდე.

რუს. შაქრის ტრესტი.

რუს. შაქრის ტრესტს შემუშავებული აქვს პროგრამა 1924 წლისათვის. განზრახულია გამოუშვან შინაურ ბაზარზე 14 მილიონი ფუთი შაქარი; აქედან ამიერ-კავკასიისათვის—900 ათასი ფუთი. საზღვარგარეთ გატანილი იქნება 2 ნახ. მილიონი ფუთი.

ახალგაზრდათა კომკავშირის ხუთი წლის თავი

საქართველოში

ახალგაზრდობის ხმა

29 ოქტომბერს, ტფილისის ახალგაზრდა პროლეტარიატმა დიდი ენტუზიაზმით ჩაატარა ახ. კომკავშირის ხუთი წლის თავი. ამ დღისთვის სახელმწიფო ოპერის თეატრში მოწვეული იყო ახალგაზრდობის საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც მოხსენება უნდა გაეკეთებია საგანგებოთ ჩამოსულ ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის წევრს ამხ. პეტროვსკის.

ტფილისის ახალგაზრდობის მრავალრიცხოვან საზეიმო სხდომას ხსნის ახ. კომ. კავ. ცეკას მდივანი ამხანაგი ლომიძე, რომელიც მოკლე სიტყვით განმარტავს დღის მნიშვნელობას და იძლევა კომ. ახ. კავშირის ხუთი წლის არსებობის მოკლე ისტორიას.

სიტყვის დასასრულს მისივე წინადადებით ირჩევენ პრეზიდიუმში შემდეგ ამხანაგებს: პეტროვსკის, ჩაპლინს, დევდარიანს, ლომიძეს, მეტონიძეს, ამასს და სოლოვიოვს.

საპატიო თავმჯდომარეთ კონფერენცია ირჩევს ავადმყოფობიდან ახლად განკურნებულს არალეგალურ მუშაობაში ცნობილს ახალგაზრდა ამხ. სტიოპა ვარდონიანს, რომელსაც კრება დიდი ოვაციებით ხვდება.

მიღებულ იქნა დღის შემდეგი წესრიგი:

1) ამხ. პეტროვსკის მოხსენება ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალზე, 2) რუსეთის კომკავშირის ხუთი წლის თავი, 3) კომკავშირის წევრთა წითელ ფლოტში გაგზავნა.

ახალგაზრდობის კომინტერნი.

ამხ. პეტროვსკი, რომელსაც კონფერენცია ხანგრძლივ ოვაციებს უმართავს, მოხსენების დასაწყისში სალამს უძღვნის ყრილობას ახ. კომინტერნის სახელით, რომელიც ამ ჟამად სხვადასხვა ქვეყნის 52 კავშირს აერთებს. ახ. კომკავშირის წარმოშობის ხუთი წლის თავი არის საერთაშორისო მნიშვნელობის დღე, რადგან ამ დღეს საფუძველი ჩაეყარა იმ უდიდეს ორგანიზაციას, რომელიც დღეს ევროპის ყველა ქვეყნებში და აღმოსავლეთში თავდადებულ ბრძოლას აწარმოებს საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგ მშრომელი კაცობრიობის განსათავისუფლებლად.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ახალ. კომინტერნის დღევანდელ მდგომარეობაზე, ახასიათებს და უპირისპირებს მას სოც.-დემოკრატ. ახალგაზრდათა ინტერნაციონალს, რომელიც მომხსენებლის აზრით ვერ ჩაითვლება საერთაშორისო კავშირად, რადგან აერთიანებს მხოლოდ ევროპიული ქვეყნების ახალგაზრდობას, რომელიც თავის უფროსი ამხანაგების მსგავსად ჩაეფლო ოპორტიუნიზმის ჭაობში და დაჰკარგა რევოლიუციონური სული. ახ. კომ. ინტერნ. კ. აკავშირებს არა მარტო ევროპის, არამედ აღმოსავლეთის და ამერიკის ახალგაზრდობას და იძლევა რევოლიუციონერობის და ძმური კავშირის იშვიათ მაგალითს, კავშირის, რომლის საილიუსტრაციოდ მომხსენებელს მოჰყავს ფრანგი და გერმანელ ახალგაზრდობის ერთსულოვანი გამოსვლა რურის ოკუპანტების და გერმანელ კაპიტალისტების წინააღმდეგ. შემდეგ მომხსენებელი ასურათებს სოც.-დემ. ახ. ინტერნაციონალის დაშლას, რომელიც დაიწყო ქვეყნებში და გამოწვეულია მისი შეუფერებელი და მრუდე ტაქტიკით. სამაგიეროთ რიცხვობრივად და ორგანიზაციულად იზრდება და მტკიცდება ახალ. კომკავშირი, რომელთაც მოწინააღმდეგე ბანაკიდან ემატება მშრომელი ახალგაზრდა სოც.-დემოკრატიის სალი ნაწილი მაგალითად გერმანიაში ახალგაზრდათა უმრავლესობა უარყოფს თავის ბელადების მოქმედების ხაზს და არალეგალურ მუშაობას აწარმოებს თავისივე ხელმძღვანელის წინააღმდეგ კომუნ. ახალგაზრდობასთან ერთად.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ევროპასა და სხვა ქვეყნებში წარმოებულ მუშაობაზე, რომელიც ამ მოკლე ხანში უმთავრესად გამოიხატა ანტიმილიტარისტული კამპანიის და 2 სექტემბრის დღესასწაულის ჩატარებაში. ახალგაზრდობის კომინტერნის მიზანი იყო და არის ბრძოლა ომის შესაძლებლობის წინააღმდეგ, ვიდრე ომი დაიწყებოდეს, სანამ ფაქტის წინაშე დავდგებოდით. და ეს კამპანია ფაშიზმით შევიწროებულ ქვეყნებში კავშირის მიერ დიდი გმირობით და თავდადებით იქნა ჩატარებული.

ამჟამად ახალგაზრდობის კომინტერნის წინაშე სდგას ორი ძირითადი ამოცანა: 1) ძველი სოციალ-დემოკრატიულ ტრადიციების უარყოფა, 2) კომუნისტური მოძრაობის არალეგალობის კითხვების გადაჭრა.

ახალგაზრდობის კომ. კავშირი ევროპაში წარმოიშვა ძველი სოციალდემოკრატიული ახალგაზრდობის უჯრედებიდან, რომელსაც ახასიათებდა კარჩაკეტილობა, ვიწრო წრეებში მუშაობა, კაბინეტიზმი. პირველ ხანებში ეს ნაკლი თან დაჰყვა ჩვენს წრეებსაც და რამდენიმედ დღესაც ვერ განთავისუფლებულან. ამ ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა ქარხანაში მომუშავე ახალგაზრდობასთან მეტი დაახლოება და მათთან გაცხოველებული მუშაობა, რომელიც დღეს გერმანიაში უკვე დიდი ტემპით მიმდინარეობს. გერმანიის მშრომელი ახალგაზრდობის ხელფასი საზღაპროთ დაეცა და ეკონომიური გაჭირვება იწვევს მათში დიდს პოლიტიკურს ინტერესს, რომლის გამოყენებასაც ცდილობს ახალგაზრდათა კომ. კავშირი.

მეორე კითხვა უმთავრესად შეიცავს ბრძოლას ფაშიზმთან. ახალგაზ. კომინტერნის 14 კავშირს ფაშიზმის ბატონობის გამო არა აქვს ლეგალური მუშაობის საშუალება, ყველა ქვეყნებში ეწყობა ჩვენს წინააღმდეგ ახალგაზრდობის ფაშისტური ორგანიზაციები. ჩვენი მუშაობის ერთი ერთი მთავარი მიზანია ავაცილოთ მშრომელი ახალ. ფაშიზმის გამხრწნელ გავლენას და ჩავაბათ იგი ფაშიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში. ამ მიზნით კომ. ახალგაზდობის ორგანიზაციები გამოდიან ფაშისტების კრებებზე და შეაქვთ მასში დეზორგანიზაცია.

დასასრულ მომხსენებელი ჩერდება კომკავშირის ცალკე ორგანიზაციების მდგომარეობაზე ევროპის და აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში ციფრებით ამტკიცებს კომ. ახალგაზრდობის თანდათან ზრდას და წარმოებული მუშაობის გაცხოველებას.

მოხსენება მოსმენილი იქნა დიდი ინტერესით და ხალისით, რასაც მრავალრიცხოვანი ყრილობის ხანგრძლივი ტაში მოწმობდა.

სიტყვები რ. ახალ. კომკავშირის ხუთი წლის თავის გამო.

ამხ. გაიოზ დევდარიანი თავის მოკლე სიტყვაში ახასიათებს ახ. კომ. კავშ. ხუთი წლის თავის მნიშვნელობას, აცნობს ამხანაგებს კომკავშირის წარმოშობას, მის ისტორიას, განვლილ გზას და წარმოებულ მუშაობას რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში და კერძოთ ამიერ-კავკასიაში. და დასასრულ მოუწოდებს ამხანაგებს ენერგიული მუშაობისა და თავდადებული ბრძოლისაკენ.

ამხ. ვარდონიანი გამოსთქვამს თავის აღტაცებას, რომ ხუთი წლის განმავლობაში ტფილისის ორგანიზაცია, რომელიც რამოდენიმე კაცს აერთიანებდა, დღეს მრავალრიცხოვან ლაშქრად გადაქცეულა. იგი წინადადებას იძლევა ფეხზე ადგომით პატივი სცენ კომ. კავშირისათვის თავდადებულ ამხ. ძნელაძის ხსოვნას.

ამხ. ჩაპლინი ეხება ახალგაზრდობის მონაწილეობას სამოქალაქო ომში, რომელმაც არა ერთი გმირი ახალგაზრდა შეიწირა, და მოუწოდებს კრებას ფეხზე ადგომით პატივი სცენ დაღუპულ გმირ ახალგაზრდებს, და მათ მსგავსად მიზნად დაისახონ რევოლიუციისთვის თავის გაწირვა.

ახ. კომ. კავშირის წევრების წითელ ფლოტში გაგზავნა.

სცენაზე შემოდის კომ. კავშირის წევრი 40-დე ახალგაზრდა.

ამხ. ლომიძე აცხადებს, რომ კომ. კავშირის ცეკას მოწოდების თანახმად; ტფილისის ორგანიზაციის საუკეთესო წევრები იგზავნებიან წითელ ფლოტში მეზღვაურებად.

ყრილობა დაუსრულებელი ტაშის ცემით ეგებება მომავალ მეზღვაურთ, რომელთა სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ბერიოზოვსკი. იგი ფლოტში გაგზავნილი ამხანაგების სახელით აღთქმას სდებს ყრილობის წინაშე ახალგაზრდური გატაცებით თავი დასდონ სოციალისტურ სამშობლოს საკეთილდღეოთ.

დასასრულ სამხედრო ორგანიზაციების სახელით ტფილისის ახალ. კომკავშირს მადლობას უძღვნის ამხ. სოლოვიოვი წითელ ფლოტისათვის თავის წრიდან საუკეთესო ამხანაგების გაგზავნისათვის.

ყრილობა ინტერნაციონალის მღერით და დაუსრულებელი ოვაციებით ისტუმრებს ძვირფას ამხანაგებს.

რუსეთში

ახალგაზრდათა კომკავშირის წევრები ერთხმად შეასრულებენ ლენინის აღთქმას.

მოსკოვი. 30 ოქტომბერი. ზიმინის ყოფ. თეატრში გაიმართა რუს. ახალგ. კომკავშირის 5 წლის იუბილეს საზეიმო დღესასწაული ამხ. ბუხარინის, ტროცკის, ზინოვიევის, კლარა ცეტკინის, კოლაროვის, ბელა-კუნის და სხვების მონაწილეობით. ახალგ. კომკავშირის ცეკას მდივანი ამხ. ვასიუტინი ხსნის სხდომას და წინადადებას იძლევა გაეგზავნოს ამხ. ლენინს მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც ნათქვამი იქნება, რომ ახალგაზრდა კომკავშირის წევრები ერთგულად შეასრულებენ ლენინის აღთქმებს.

ახალგ. კომკავშირის 4 ამოცანა.

ამხ. რივკინი შესავალ სიტყვაში აღნიშნავს, რომ ახალგ. კომკავშირი ყოველთვის სცდილობდა შეესრულებია 4 ამოცანა: ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისა და რევოლიუციისათვის, სოლიდარობა კომუნისტურ პარტიასთან, კავშირის დაჭერა საერთაშორისო მუშათა ახალგაზრდობასთან და მუშათა ახალგაზრდობის აღზრდა.

მჭიდრო კავშირი ახალგაზრდობასთან

ამხ. ბუხარინის სიტყვა

ამხ. ბუხარინმა აღნიშნა, რომ ჩვენი რევოლიუცია დამარცხდებოდა, რომ არ მოეხერხებია მჭიდრო კავშირის განხორციელება არა მარტო უპარტიო გლეხობასთან, არამედ მუშა-ახალგაზრდობასთანაც. პარტიის და ახალგ. კომკავშირის გართიანება უპარტიო ახალგაზრდობასთან ქმნის ისეთ ფოლადისებურ ჯაჭვს, რომლის გაწყვეტა არავითარ ძალას არ შეუძლია. ამის საწინდარია—რუსეთის ახალგ. კომკავშირი, რომელიც იმარჯვებს კულტურულ, სამეურნეო, სამხედრო და საზღვაო ფრონტებზე. რუსეთის კომპარტიის ცეკას სახელით ამხ. ბუხარინმა გადასცა ახალგ. კომკავშირს წითელი დროშა.

ბრძოლა გერმანიაში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა

ამხ. ზინოვიევის სიტყვა

კომინტერნის სახელით ახალგ. კომკავშირს მიესალმა ამხ. ზინოვიევი: „ყველა ამბებს შორის დღეს მსოფლიოში მთავარ ყურადღებას იპყრობს გერმანიის ამბები. ერთის შეხედვით გეჩვენება, რომ ის ამბები ვითარდებიან არა მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. საქსონიაში და ჰამბურგში გამოსვლები ჩაქრობილია, მაგრამ გერმანიის პროლეტარიატის მთავარ ძალებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ მონაწილეობა ბრძოლაში. ჯერ კიდევ არ დაუკრავს 12 საათს. გერმანიაში მომხდარი მოწინავე შეტაკებანი, ჩვენშიაც იყო, მაგრამ ამ ამბებს ხელი არ შეუშლიათ ოქტომბრის გამარჯვებისათვის. იგივე იქნება გერმანიაშიც. დადგება მომენტი, როცა გერმანიის კომპარტია მოუწოდებს მუშებს გადამწყვეტ გამოსვლებისაკენ. მაშინ ნათელი გახდება ბრძოლების შედეგები".

საჭიროა ახალგაზრდობის ლენინური კავშირი.

აღნიშნავს რა ახალგ. კომკავშირის ამოცანებს, ამხ. ზინოვიევი ამბობს, რომ საჭიროა ორგანიზაციაში ჩაბმულ იქნეს მთელი გლეხური ახალგაზრდობა. საჭიროა შეიქმნეს ახალგაზრდობის ლენინური კავშირი. დაზგა და წიგნი განუყრელი უნდა იყონ, მაგრამ არ უნდა იქნას დავიწყებული ვინტოვკა და ტყვიისმფრქვეველი.

გერმანიის კომპარტია ემზადება თავისი ოქტომბრისათვის

ამხ. კლარა ცეტკინის სიტყვა

გერმანიის კომპარტიის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. ცეტკინი, რომელიც აღნიშნავს, რომ გერმანიის კომუნისტური პარტია ემზადება იმ ნაბიჯის გადასადგმელად, რომელიც გადასდგა რუსეთის კომპარტიამ 1917 წ. ოქტომბერში.

ბულგარელი ამხანაგები სულით არ ეცემიან

ამხ. კოლაროვის სიტყვა

ბულგარეთის კომპარტიის სახელით ამხ. კოლაროვი აღნიშნავს, რომ მიუხედავად დამარცხებისა, ბულგარელი ამხანაგები სულით არ ეცემიან და ემზადებიან ახალი ენერგიით შეუდგენ გადამწყვეტ ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ. ამას წინად წარმოებულ ბრძოლის დროს, ბულგარეთის პროლეტარიატის და გლეხობის პირველ რიგებში იბრძოდენ ბულგარეთის ახალგაზრდობა და ახალგაზრდა ქალები.

ახალგ. კომკავშირი არის ძალა, რომელიც ქმნის საზოგადოების ახალ ფორმებს

ამხ. ტროცკის სიტყვა

ესალმება რა ახალგ. კომკავშირს, წითელი არმიის და ფლოტის სახელით, ამხ. ტროცკი აღნიშნავს იმ ცვლილებას, რომელიც მოხდა მუშათა ახალგაზრდობის ცხოვრებაში, შედარებით იმასთან, რაც ამ 25 წლის წინად იყო. გონებრივად ახალგ. კომკავშირმა სძლია ძველი ყოფა-ცხოვრების გონება-სიჩლუნგეს. იგი არის ისტორიული ფაქტორი, ძალა, რომელიც ჰქმნის საზოგადოების ახალ ფორმებს. ახალგაზრდათა კომკავშირმა მჭიდროთ დაუკავშირა თავისი ბედ-იღბალი წითელ არმიის და ფლოტის ბედ-იღბალს. შესვენების დროს ახალგ. კომკავშირმა დაიწყო ბრძოლა „მეშჩანობის და აზიატჩინის" წინააღმდეგ. ეხლა იგი ყურს უგდებს საყვირის ხმას, რომელიც მოასწავებს ახალ, მრისხანე ხანის დასაწყისს. გერმანიაში დღითი-დღე მწვავდება ბრძოლა, რომელიც აუცილებელ დასასრულს უახლოვდება. სამოქალაქო ომი გაივლის მთელ რიგ მძიმე საფეხურებს. თუმცა ჩვენ დაშორებული ვართ გერმანიის პროლეტარიატისაგან, მაგრამ უძახით მას: „ძმებო და დებო, ჩვენ სულით და გულით თქვენთან ვართ!" არ ვიცით რას მოგვიცემს ხვალინდელი დღე.

აღნიშნა რა ახალგ. კომკავშირის დამსახურება, რომელიც გამოიხატა წითელ ფლოტზე შეფობაში, და აგრეთვე ჯარში გასაწვევ ჰასაკამდე სამხედრო მომზადების ამოცანები, სამილიციო არმიის შედგენა და საჰაერო ფლოტის შექმნა, ამხ. ტროცკიმ სთქვა, რომ ახალგ. კომკავშირი განუყოფელი ნაწილია მუშათა კლასის, ხოლო არმია და ფლოტი არის ახალგ. კომკავშირის გაგრძელება და განვითარება. გადასცა რა ს. ს. რ. კავშ. რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს სახელით წითელი დროშა, ამხ. ტროცკიმ აღნიშნა, რომ ეს დროშა უნდა იქნას გარეგანი გამოხატულება ახალგაზრდობის და წითელარმიის კომკავშირისა წარსულ და მომავალ ბრძოლებში.

დასასრულ მოსმენილ იქნა მისალმებანი—ამხ. ბუდიონის სრულიად რუსეთის ცაკის სახელით, უნგრეთის—ახალგ. კომინტერნის აღმასკომის სახელით, ზოფას—წითელი ფლოტის სახელით და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

მეტყავეთა კავშირის სრ. საქართველოს მესამე ყრილობა

(28 ოქტ. დილის სხდომა).

საორგანიზაციო საკითხი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საორგანიზაციო დარგში წარმოებულმა მუშაობამ საკმაოდ გააცხოველა საკავშირო ორგანოთა მოქმედება და დაუახლოვა ისინი მუშათა მასებს, მომავალშიც საჭიროა ეს კავშირი მასასთან უფრო განმტკიცდეს. ფინანსიური პოლიტიკის დარგში კავშირმა მთავარ ამოცანად უნდა დაისახოს გასავალის შემოსავალთან შეფარდება. ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია საწევრო გადასახადების საბოლოოდ მოწესრიგება: საქარხნო კომიტეტების საჭიროებისათვის გაღებული თანხები უნდა იყოს მათივე განკარგულებაში. კავშირთან არსებული ფონდები გაძლიერებული უნდა იქნეს. უმუშევართა ფონდში შემოსული თანხები აუცილებლად უნდა მოხმარდეს უმუშევრებს და არაფრის გზით არ უნდა გაჩერდეს კავშირში. ც. გ. მომავალში უნდა მიიღოს ყოველი ღონისძიებანი წევრთა უთიერთ დამხმარე კასაში ჩასაბმელად.

სატარიფო-ეკონომიური საკითხი.

ხელფასის და შრომის დაცვის კოლექტიური ხელშეკრულების გზით მოწესრიგებამ წარსულში ცხადჰყო წარსულ პერიოდში. კავშირის სატარიფო პოლიტიკა 1922 წელსა და 23 წლის დასაწყისში შესამჩნევად გადიდდა შრომის ხელფასი.

აღნიშნავს რა სატყავო მრეწველობის მერყევ მდგომარეობას, მომხსენებელს აუცილებლად მიაჩნია ხელფასის გადიდების შეჩერება. კავშირმა უნდა განამტკიცოს ხელფასის მიღწეული ნორმა და საშუალება არავის მისცეს მისი რეალური ღირებულების შემცირების. შემდეგ მომხსენებელი ჩერდება კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების მეთოდებზე, ხელფასის გამონგარიშებასა და აღძრულ კონფლიქტთა მოგვარებაზე.

კულტურულ-განმანათლებელი საკითხი.

კავშირის კულტ-მუშაობა პროფესიონალური მოძრაობის განუყრელ ნაწილს უნდა შეადგენდეს. კულტ-მუშაობის მთავარი ამოცანები უნდა იყოს: მუშათა კლასის კულტურული დონის ამაღლება და მისი კლასობრივი თვითშეგნების განმტკიცება.

განსაკუთრებული ყურადღება კავშირმა უნდა მიაქციოს საკლუბო მუშაობას. შემდეგ კავშირმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს პროფესიონალურ პროპაგანდას კლუბებთან პროფმოძრაობის შესასწავლი წრეების დაარსებით. წრეებში უნდა ჩაბმული იქნეს, რაც შეიძლება, მუშათა მეტი რიცხვი.

თეზისები საორგანიზაციო სატარიფო, საგანმანათლებლო საკითხებზე ყრილობის მიერ ერთხმად მიღებულია.

არჩევნები.

ყრილობის კომფრაქციის მიერ წარმოდგენილი ცენტრალურ გამგეობის წევრთა სია ყრილობამ მიიღო. გამგეობაში შედიან: კახიანი, მორჩილაძე, ტრდატიანი, მირიჯანაშვილი, ზეკეტოვი, გულიევი, ბრეწუაშვილი, მამულოვი, თოდრია, ეგიაზაროვი, დავლიაშვილი, კანდიდატებათ არჩეულია: ენუქიძე, ისახანიანი, გაბიაშვილი, მირზოიანი და აირაპეტოვა.

სარევიზიო კომისიაში შედიან: არჩვაძე, შაფათავა, მოსესოვი. კანდიდატებათ: სარქისოვი და ტერგრიგორიანი.

ყრილობა იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

მუშათა ცხოვრება

ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს აუცილებლად

(ჩვენი რედაქციების საყურადღებოდ).

გაზეთ „კომუნისტი"-ს № 234-ში მოთავსებული იყო ამხ. გ. მ. წერილი შემდეგი სათაურით: „მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხი ჩვენს პრესაში". აღნიშნულ წერილში ამხ. გ. მ. სხვათა შორის, მიუთითებდა სრულიად სამართლიანად ჩვენს რედაქციებს ერთ დიდ ნაკლზე, რომელსაც აქვს ადგილი საბჭოთა პრესაში და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ **„სრულიად ერთგვარი, ერთმანეთში შინაგანი ბუნებით შეკავშირებული ცნობები"**—გაფანტულ-განაწილებულნი არიან გაზეთების სხვა და სხვა განყოფილებებში, როგორც მაგალ. „მუშათა ცხოვრება და პროფკავშირები"... ავტორის აზრით მათი ორ განყოფილებად დაყოფა დიდი შეცდომაა, ულოღიკობა და მუშათა „ყოფა-ცხოვრების" საკითხის მთლიანი და ერთგვარი სხეულის ხელოვნურად დამსხვრევა-დაქუცმაცება. — „განა პროფორგანიზაციები არ არიან ნამდვილი მუშათა ორგანიზაციები და ყოველ მათ მოქმედებაში არ არის ცოცხლად ჩასახული ჩვენი მუშის ნამდვილი სახე, მისი ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა?"-ო გვეკითხება სრულიად სამართლიანად ამხ. გ. მ. და ვინაიდან პროფკავშირების მოქმედება „ორგანიულად" და ლოღიკურად დაკავშირებულია „მუშათა ყოფა-ცხოვრებასთან, ის მოითხოვს მათ გაერთიანებას ერთს განყოფილებაში—საკითხის მთლიანობის და სისრულით გაშუქებისათვის.

— ამხ. გ. მ.-ს აზრი სწორედ მისაღები და საყურადღებოა, ამიტომ საჭიროა ჩვენმა რედაქციებმა ეს ნაკლი გამოასწორონ.

ალმასკომელი.

საშინელი სურათი

(უმუშევრის ცხოვრებიდან).

ვეძინის ქუჩაზე, სახლი № 15-ში სცხოვრობს ერთი უმუშევრად დარჩენილი მუშა ამხ. ალექსანდრე სერგოს ძე მარტირუზოვი, რომელსაც სამი თვის წინედ ცოლი გარდაეცვალა. მას დარჩა ორი პატარა ბავშვი: ერთი ოთხი წლისა და მეორე წელნახევრისა. ამხ. მარტირუზოვს სახლში ბავშვების მომვლელი არავინ არა ჰყავს და თვითონაც კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. მას არსაიდან შემოსავალი არა აქვს. თუ რამე ჰქონდა, ტანჯვით ნაშოვარი, ცოლის ავადმყოფობის დროს გაყიდა მის მოსარჩენად და ახლა კი ყველა მხრიდან უიმედოთ არის დარჩენილი. საბრალო ადამიანი უკანასკნელ ლოგინსაც ჰყიდის, რომ რამოდენიმე დღით მაინც გამოკვებოს შვილები. დღეს თუ არა ხვალ კარებზე საბრალო მამას ზამთარი მოადგება და მისი პაწა ბავშვები თუ სიმშილის არა, სიცივის მსხვერპლი შეიქნებიან. თუ ისინი ეხლა ვერ მოათავსეს თავშესაფარში, ან საბავშვო ბაღში. მამა ბავშვებს ვერა შორდება, სამუშაოზე ვერსად ვერ მიდის, რომ საიდანმე მათ საზრდო შემოუტანოს და სიცოცხლე შეარჩინოს უსუსურ ბავშვებს. პურის საყიდლად რამდენიმეჯერ მიუმართავს ტანჯულ მამას პროფკავშირისთვის, რომ მისი ბავშვები რომელიმე საბავშვო ბაღში გაეგზავნა, კავშირს ყურადღება არ მიუქცევია უბედურისათვის. საჭიროა სასწრაფოდ ზომების მიღება და სათანადო დახმარების აღმოჩენა ვისგანაც ჯერ არს.

მუშკორი გ. შინატებელი.

უპატრონოდ სახლი ინგრევა

(ტფილისის ალმასკომის საყურადღებოდ).

ბებუთოვის ქუჩაზე სახლი №-30 წარმოადგენს ერთს საუკეთესო შენობას.

მაგრამ სამწუხაროდ, ამჟამად აუტანელ ბინების კრიზისის დროს, ასეთი მშვენიერი სახლი უპატრონობით ლპება და ინგრევა. მიზეზი ამ უშველებელი შენობის ნგრევისა კი ის არის, რომ მას წყალსადენის მილები ნახევრად დამპალი და ჩამომტვრეული აქვს. და როდესაც წვიმა მოდის, სახურავიდან მომდინარე წვიმის წყალი ეზოს ნაცვლად დამტვრეულ მილებით ჩადის ქვედა სართულში და აქედან პადვლებში, რით კედლები ნამიანდება და ნელ-ნელა ინგრევა. ამისათვის მივმართეთ რამდენიმეჯერ სახლის ზედამხედველს, რომ მას რაიმე ზომები მიეღო და ეს სახლი არ დანგრეულიყო. მაგრამ პასუხად ერთსა და იგივეს ვისმენთ მისგან: „თუ არა მოგწონთ, საითაც გნებავთ, იქით მიბრძანდით"-ო ასეთი „გულის შემატკივრები" ჰყავს ზოგან ქალაქის საბჭოს და რასაკვირველია სინდისიერად ისინი აღარ ასრულებენ მათზე დაკისრებულ-მოვალეობას. ამას გარდა აქ არის ერთი სართულიდან მეორეში გადასასვლელი ფიცრის ხიდი, რომელიც დამყარებულია ძირიდან შემდგარ ბოძებზე. მაგრამ, ზოგიერთი ბოძები სიდამპლის გამო მას ძირიდან გამოსცლია და ზედ გავლის დროს ეს ხიდი ქანაობს და ამის ქვეშ კი, ხშირად იქ მცხოვრებელი მუშების ბავშვები თამაშობენ და ადვილად შესაძლებელია, ერთს უბედურ დღეს ეს ხიდი ჩამოტყდეს და რამდენიმე ბავშვი იმსხვერპლოს. ამაზედაც საჭიროა ჯეროვანი ყურადღების მიქცევა. გარდა ამისა უკვე ზამთარი კარებზე გვადგია, სახლი გათბობას მოითხოვს, მაგრამ ფეჩები და ბუხრები კი კარგა ხანია გაუწმენდავი არიან; რის გამო შეიძლება, ცეცხლი გაუჩნდეს სახლს და უფრო დიდი უბედურებაც დატრიალდეს. ამიტომ ჩვენ, ამ სახლში მცხოვრებელი მუშები, მოვითხოვთ, რომ ყველა ამ დეფექტების ასაცილებლად სათანადო ზომები იქნეს მიღებული თავიდანვე, ვიდრე დრო კიდევ არის, თორემ მერე გვიანღა იქნება.

მუშკორი ემიგრანტი.

კინო-თეატრების მუშა-მოსამსახურეთა შორის

მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს კინო-პალასის შენობაში შესდგა მეორე რაიონის კინო-თეატრების მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) რაიონულ წითელ დროშის გადაკეთება; 2) მუშა-მოსამსახურეებისათვის შეშის შეძენა. აღნიშნულ საკითხებზე მოხსენებას აკეთებს რაიკომის თავმჯდომარე ამხ. რ. ტოროსოვი, რომელმაც დამსწრე ამხანაგებს გააცნო დროშის გადაკეთების მიზეზი. ეს მიზეზი კი მდგომარეობს იმაში, რომ დროშაზედ წარწერა არის მხოლოდ ერთს ენაზედ და კავშირის დადგენილებით უნდა იქნას წარწერა ორ ენაზე—ქართულ და რუსულზე კრება ადგენს დროშაზე გააკეთოს წარწერა ქართულ-რუსულ ენებზე.

რაც შეეხება შეშის შეძენას, უნდა ითქვას, რომ სხვა დაწესებულების მუშები ღებულობენ შეშის ფულს მხოლოდ სესხის სახით. მაგრამ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი ჯამაგირის სიმცირის გამო ვერავითარ ვალს ვერ გარდავიხდით, რადგან პურის ფულად ძლივს გვყოფნის ის. ამიტომ კრება ადგენს ერთს ორშაბათს ამუშაოს „კი ნო" და წმინდა შემოსავალი გადასდვას მუშებისთვის შეშის შესაძენად. ამგვარად ჩვენი მუშები ახლო დღეებში შეუდგებიან უფასოთ სურათის გამოძებნას, რომ მათ შემოსავალი მეტი დარჩეთ აღნიშნულ საჭიროებისათვის.

მუშკორი გ. მ—შვილი.

საჭიროა სასწრაფო დახმარება

(ჯანსახკომის საყურადღებოდ).

ნაძალადევის სულ განაპირა კუთხეში, (ყოფილ ახვერდოვის მამულში) სცხოვრობს რკინისგზის ძველი მუშა არტემ მზარეულიშვილი. ეს მუშა კარგა ხანია, რაც ლოგინად არის ჩავარდნილი სიდამბლით, რომელსაც არ შეუძლიან არც წამოჯდომა ლოგინში და არც თავისით საჭმლის მიღება. ამ ავადმყოფის მოვლაში საბრალო მისმა ცოლმა განუტევა ტანჯული სული. ახლა მას უვლიან მისი მცირე წლოვანი ბავშვები. ერთი მათგანი ექვსი წლისაა, მეორე კი თორმეტის და მესამეც თხუთმეტი წლისა. მათ არ გააჩნიათ არავითარი ცხოვრების წყარო, გარდა პენსიისა, რომელსაც იღებს ავადმყოფი რკინის გზის დამზღვევ კასიდან ორმოც მილიონ მანეთის რაოდენობით და ერთ ფუთს ნავთსა. საბრალო ბავშვებსაც თავიანთი დედის ბედი ეწვევათ, თუ ავადმყოფი მუშა არ გაიგზავნა სასწრაფოდ საავადმყოფოში. რკინისგზის საავადმყოფო ასეთ ავადმყოფებს არ იღებს და საჭიროა ეს იშვიათი ავადმყოფი გადაყვანილ იქნეს სხვა რომელიმე შესაფერ საავადმყოფოში და გაეწიოს მას საექიმო და მატერიალური დახმარება—უფრო მეტი რაოდენობით.

მუშკორი მ.-ლი ნიკო.

მუშათა ქრონიკა

— **ნედლი მასალის მარაგი ლითონის განყოფილებაში.** ოქტომბრის რევოლიუციის სახელ. სპილენძის სატკეცი ქარხანა 2 თვით უზრუნველყოფილია ნედლი მასალით.

— „დონბასი"-დან დაბრუნებულმა კოლეგიის წევრმა, დაგუნოვმა, ლითონის განყოფილებისათვის შეისყიდა 4,000 ფუთი ნახშირი, 2000 ფუთი ანტრაციტი, 2,000 ფუთი ნახშირი, 50 ფუთი ოლიფა და სხვადასხვა იარაღი ქარხნებისათვის.

— **მეტალისტებმა მიიღეს სპეც ტანისამოსი.** ლითონის განყოფილებამ სავსებით დააკმაყოფილა თავისი მუშები სპეც-ტანისამოსით, შემუშავებული პეტროგრადის ალბომის მიხედვით.

— მეტალისტები ახლო მომავალში გამოუშვებენ საბარგო ავტომობილებს. ლითონის განყ. 26 კომუნარის სახელ. ქარხანაში კაპიტალურ შეკეთების შემდეგ გამოვა გასასყიდათ 4 ცალი 3 ტონიანი საბარგო ავტომობილები.

მუშკორი ი. ელიაშვილი.

პროვინციაში

ბორჯომი

მიწის ძვრისაგან გაუბედურებულ იაპონიის მშრომელი ხალხის სასარგებლოთ, ჩვენ, ბორჯომის პირველ სანატორიუმში მყოფი ავადმყოფები და მოსამსახურეები საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობით ვწირავთ ჩვენს მცირე წვლილს. ხელის მოწერით დღემდე შევაგროვეთ 4 ჩერვონეცი და ოცდაჩვიდმეტი მილიონი (37,000,000) მანეთი, რომელიც უკვე გადავეცით ამიერ-კავკასიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ კომისიას. ამხანაგებს, რომლებსაც შემოწირულების ფურცელზე ხელი ჰქონდათ მოწერილი და არ შემოუტანიათ თავისი წვლილი—განმეორებით მივმართავთ შეასრულონ თავისი ვალი.

ბ. ჩოდრიშვილი.

სოფ. მუხრანი (დუშეთის მაზრა)

მუხრანის რაიონში თვით სოფელი მუხრანი წარმოადგენს ერთ ყველაზე უფრო კულტურულ სოფელს, რომელშიაც 800 კომლამდე მოსახლეა. ამ სოფელს აქვს ორ-კლასიანი სასწავლებელი, რომელშიაც არასოდეს არ მიმდინარეობს ნორმალური მეცადინეობა, რითაც დიდათ ფერხდება სწავლა-განვითარების საქმე. განზრახული იყო ეს სასწავლებელი გადაეკეთებინათ მთლიან შრომის სკოლად, მაგრამ დღემდე სხვადასხვა მიზეზების გამო ეს ვერ მოხერხდა. მაგრამ დღეს, როდესაც სოფ. მუხრანს ჰყავს ისეთი შეფი, როგორიც არის ცეკავშირი, ცხადია ეს საქმე ადვილად მოგვარდება და სწავლა-განვითარების საქმეს ფართო გზა გაეხსნება. საჭიროა დახმარება, როგორც ადგილობრივ ხელისუფლებისაგან, აგრეთვე მაზრის განათლების განყოფილებისაგანაც.

შაქრო მიქელოვი.

სოფ. საქარა (შორაპნის მაზრა)

10 ივნისს ს. საქარაში ყოფილ ეკლესიაში გაიხსნა ამხ. მამია ორახელაშვილის სახელობის კლუბი.

კლუბის უახლოესი მიზანი იყო კულტურულ განმანათლებელი მუშაობა ადგილობრივ გლეხთა შორის. მაგრამ ეს შეუძლებელია, ან მეტად ძნელი იქნება, რომ გლეხების ინიციატივას არ დართოდა შესაფერისი დახმარება, და ასეთიც მიიღო კლუბმა 4 ივლისს ამხ. მამია ორახელაშვილისაგან, რომელმაც მოგვაწოდა ტფილისიდან 101 ცალი წიგნი სხვადასხვა დარგიდან. მეორე, კიდევ უფრო ფართე ხასიათის დახმარება იყო, როცა ამხ. მამიამ მოგვაშველა სპეციალურათ ჩვენი კლუბისთვის შეკვეთილი ძვირფასი ბიბლიოთეკა.

ადგილობრივი საზოგადოება აღტაცებით შეეგება ამხ. მამიას ასეთ უხვ დახმარებას და მხურვალე მადლობას უძღვნის თავის ძვირფას შეფს.

კლუბი ასეთი მდიდარი სამკითხველოით დიდი განძია ჩვენი სოფლისთვის. ის მიიზიდავს და მუდამ ასაზრდოებს ცოდნის მოყვარე ახალგაზრდობას. ზოგიერთი ამათგანი მთელი ზაფხულის განმავლობაში დაუღალავათ მუშაობდენ კლუბში, პირდაპირ მონაწილეობას ღებულობდენ აქაურ სცენის მოყვარეთა ჯგუფში. მიმაგრებული ამხანაგის მიერ სისტემატიურათ კეთდება მოხსენებები. მომავალში მეცადინეობა მიიღებს უფრო ფართო ხასიათს.

ამნაირათ, ს. საქარა კულტურულათ არ ჩამოუვარდება არც ერთ სოფელს შორაპნის მაზრაში.

მ. დონდუა.

წერილი რედაქციის მიმართ

„კომუნისტი"-ს № 248-ში და „რაბოჩაია პრავდა"-ს № 190 და 192 მოთავსებულ წერილების შესახებ ვაცხადებ მკითხველთა საყურადღებოდ, რომ მოყვანილი ცნობები სიმართლეს არ შეეფერებიან:

„რაბოჩაია პრავდა"-ში ნათქვამია, ვითომდა პირველ გამასწორებელ სახლის უფროსის მოქ. გვათუას სამსახურიდან გადაყენების შემდეგ, მის ადგილს დანიშნული ყოფილიყო ყოფილი ბოქაული სვ. დავიდოვი, ხოლო გაზეთ „კომუნისტი"-ს №248-ში ვითომდა ისევ იგივე სვ. დავიდოვი დანიშნულ იყვეს თიანეთის მაზრის მილიციის უფროსად.

არც ერთი ცნობა სიმართლეს არ შეეფერება. პირველ გამასწორებელ სახლის უფროსად, გვათუას სამსახურიდან გადაყენების შემდეგ, დანიშნულ იქმნა ტფილისის მე-5 სამილიციო რაიონის უფროსი—**ლიხინოვი**, ხოლო თიანეთის მაზრის მილიციის უფროსად, იმავე გვათუას ტფილისში გადმოყვანის გამო—**პარტიული ამხ. ხილაყაია.**

ეს მაჩვენებელია იმ გარემოების, რომ ზემოდ აღნიშნულ წერილების ავტორებმა არ იციან საქმის ვითარება და, როგორც პატივცემულ გაზეთების რედაქციები, აგრეთვე მკითხველები, შეცდომაში შეიყვანეს.

დავიდოვი მილიციაში მსახურობს, ის ყოფილი ბოქაულია. ეს ბევრმა პარტიულმა ამხანაგმა იცის, უეჭველად კარგად იციან თვით წერილების ავტორებმაც, რადგან სვ. დავიდოვი, ტფილისის ერთ-ერთ სამილიციო რაიონის უფროსის თანაშემწედ რომ იყო, შეიძლება წერილების ავტორი, სწორედ იმავე დროს, ყოფილიყო იმავე რაიონში უფროსად (გარდა ამისა: ვინ მიიღო დავიდოვი რკ. გზის მილიციაში?). წერილების ავტორი მაშინ გაიგებდა დავიდოვის ავ-კარგიანობას. ავტორი დღემდე ხმას არ იღებდა. შეიძლება მათ ერთად დაიწყეს მილიციაში სამსახური, მაგრამ დღეს მარტო დავიდოვი მსახურობს,—მეორე კი აღარ... რაც შეეხება სამილ. განყ. უფროსის თანაშემწეს ნადირაძეს,—როგორც სჩანს მის პირად საქმეებიდან,—იგი დაშნაკცაკანების პროცესის დროს—1908—13 წ.|წ., როგორც კარგი მცოდნე სომხურ, თათრულ, ქართულ და რუსულ ენების, თარჯიმნად ყოფილა, მილიციის გამწმენდ კომისიაში არა ერთხელ გაუვლია, მაგრამ ის არ დაუთხოვნიათ. ნადირაძეს მისი თანამოსამსახურენი იცნობენ—გულმოდგინე თანამშრომლად და თუ წარსულში თარჯიმანად ყოფნა დღეს სამსახურს აუკრძალავს, ამას გამოარკვევს კომისია, რომელიც დანიშნულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მიერ.

საპატიმრო ადგილების უფროსის **კაკაბაძის** და ფოთის გამასწორებელ სახლის უფროსის **ხუციშვილის** პასუხისგებაში მიცემის და სამსახურიდან გადაყენების შესახებ საკითხი ამოწურულია. მათი სამსახურის დატოვების შესახებ შ. ს. ს. კომ. საქმეებში ინახება ალმ. საქ. პროკურორის მომართვა № 221—ოქტომბრ. 8-დან მ.|გ. ინსპექციის კომისარის № 3964—ოქტომბრ.—9-დან და გარდა ამისა ინსპექციის ფოთის განყოფილების უფროსი ინსპექტორის უეცარ რევიზიის აქტი 1923 წლ. სექტემბრის 19-დან, თორემ შინ. საქ. სახ. კომისარი არც ისეთი გულჩვილი ადამიანია, რომ „ბოროტმოქმედნი" სამსახურიდან არ გადააყენოს ან არ ჩამოაყენოს. ჩვენ გვგონია წერილის ავტორსაც კარგათ მოეხსენება მისი „გულჩვილობის" ამბავი...

შ. ს. ს. კ. საქმეთა მმართველი ი. თაზიშვილი.

საბჭოთა სასამართლოში

სიკვდილით დასჯა თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის

1923 წ. 21 ოქტომბერს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ, ქ. სიღნაღში, სხვა საქმეთა შორის განიხილა ლადო ვასილის ძე გოგნიაშვილის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა მრავალი ბოროტმოქმედების ჩადენა, სასამართლოს გამოძიებით დამტკიცდა ყველა ის ბრალდებები, რომელიც წამოყენებული იყო გოგნიაშვილის მიმართ, რის გამოც სასამართლომ დაადგინა: ბრალდება ბრალდებულ 28 წლის უპარტიოსი, სოფ. ნუკრიანის სიღნაღის მაზრის მცხოვრებ გოგნიაშვილის მიმართ, რომ გოგნიაშვილი 1921, 1922 და 1923 წლებში იყო სიღნაღის მაზრის სხვადასხვა თემებში, უმფროს მილიციონერის, რევკომის და ალმასკომების თავმჯდომარის თანამდებობაზე სისტემატიურად უმიზეზოთ აპატიმრებდა და მათრახით და რევოლვერის კონდახით სცემდა გლეხებს; იმავე დროს მიითვისა და გაფლანგა სახაზინო ფული ტიბაანის თემში 15.114.000 მან. და ბოდბის თემში 651.000 მან. იმავე ბოდბის თემში გაჰყიდა სატყეო განყოფილების კუთვნილი ალაყაფის კარები, რომელიც დააბრუნა მხოლოდ სატყეო განყოფილების გამგის და მილიციის უფროსის მოთხოვნილების შემდეგ; თავისი ნებით აჰკრეფდა გლეხებს ზედმეტ სასურსათო გადასახადს და ასეთებს ითვისებდა თითონ; 1922 წელში. სოფ. წნორის წყალზე დააპატიმრა ზუბიტიძე და აიძულა იგი თავისი ცოლის ძმის საშუალებით მიეცა 90.000 მ., ქრთამის სახით, რის შემდეგაც ზუბიტიძე გაანთავისუფლა და სხვა. ჩაითვალოს დამტკიცებულად, და მიესაჯოს ლადო ვასილის ძე გოგნიაშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა.

სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში გოგნიაშვილის ბნელი წარსული მის მიერ ბოროტ-მოქმედებათა ჩადენის სისტემატიური ხასიათი, და გოგნიაშვილის გამოსწორების შეუძლებლობა, დაადგინა აღძრას შუამდგომლობა საქ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, რათა წინასწარი ამნისტიები გოგნიაშვილის მიმართ გავრცელებული არ იქნას. განაჩენი საბოლაოდ შედის ძალაში და სისრულში მოყვანილ უნდა იქნას 72 საათის განმავლობაში.

ქრონიკა

— **ახალი სკოლები.** ტფილისის პოლიტგანათლება ხსნის სკოლებს მუშა-მოსამსახურეთა წლოვანება გადაცილებულ შვილებისათვის ქართულსა, სომხურსა და რუსულ ენებზე.

— **საზამთრო ტანისამოსი და ფეხსაცმელები მილიციის თანამშრომლებს.** ალმასკომმა მილიციის თანამშრომლებისათვის საზამთრო ტანისამოსის და ფეხსაცმელების, შესაძენათ, გადასდო 32,084 მან. ჩერვონცით.

— **უფასო წამლობა ღარიბ გლეხობას.** თანახმად წალკის რაიონის მცხოვრებთა შუამდგომლობისა, ალმასკომმა წინადადება მისცა ჯანმრთელობის განყოფილებას, თავის საავადმყოფოში უფასოთ მოათავსოს წალკის რაიონის ულარიბესი დაავადმყოფებული გლეხები.

— **ტანთ-ვარჯიშობა საქართველოში.** განათლების კომისარიატის ფიზიკური აღზრდის მთავარ ინსტრუქტორმა ცირკულიარული წინადადება მისცა საქართველოს ყველა შრომის სკოლების და ტეხნიკუმების ტანთ-ვარჯიშობის მასწავლებლებს დაჩქარებით წარმოადგინონ გასული სამოსწავლო წლის ანგარიშები და პროგრამები.

— **პედაგოგიური საბჭოების ფუნქციათა გაფართოება.** განათლების კომისარიატის შრომის სკოლის განყოფილებამ დაადგინა შეიმუშაოს ახალი ინსტრუქცია პედაგოგიური საბჭოების ფუნქციათა გასაფართოებლათ, მასწავლებელთა სასკოლო აღმშენებლობაში ჩაბმის მიზნით.

— **შრომის სკოლის პროგრამების გადასინჯვა.** განათლების კომისარიატის შრომის სკოლების განყოფილებამ მოიწვია სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა გადასინჯოს შრომის სკოლის პროგრამები და გაანაწილოს სასწავლო მასალა სემესტრების მიხედვით.

— **ღარიბების დამხმარე კვირეულები.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა 30 ოქტომბერს მიწერილობები გაუგზავნა ზუგდიდის, შორაპნის, ახალციხის ბორჩალოს და სიღნაღის მაზრის საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტებს სოციალურ უზრუნველყოფის საქმეზე მოსახმარი ფონდის საშუალებების გასაძლიერებლად დაჩქარებით მოაწყონ მაზრებში ღარიბების დამხმარე კვირეულები. ასეთი კვირეული სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ ცნობით უკვე მოეწყო და წარმატებით ჩატარდა ოზურგეთის მაზრაში.

— **ფონდები საგლეხო კომიტეტებთან.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ მაზრებიდან მიღებული ცნობებით საქართველოს რესპუბლიკის ბევრ სოფლებში და თემებში საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტებთან სპეციალური ფონდები მოეწყო სოფლად სოციალურ უზრუნველყოფის საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. გლეხობას სასოფლო და სათემო ყრილობებზე საჯაროთ გამოტანილი დადგენილებით ფონდში შეაქვთ ფული, სიმინდი, ხორბალი და სასოფლო-მეურნეობის ყოვლგვარი ჭირნახული: ჩაი, თხილი, ნიგოზი, ვაშლი და სხვა.

— **მიწის ძვრა.** 26 ოქტომბერს, ღამით ბათომში შემჩნეულ იქნა მიწის სუსტი ძვრა, რომელიც გაგრძელდა 5 წუთს.

— **აგარაკი ახტალა.** ამ ჟამად სწარმოებს აგარაკ ახტალას ნაწილობრივი რემონტი და მისავალი გზის საფუძვლიანი შეკეთება.

— **ჩაქვის ჩაის წარმოების გასაუმჯობესებლად.** მიწად-მოქმედების კომისარიატმა ჩაქვის ჩაის კულტურის გასაუმჯობესებლათ გადასდო 410 ჩერვონეცი.

— **ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე სხვადასხვა ეპიდემიასთან საბრძოლველათ დახარჯა სულ 95,601,811,000 ათასი მან., აქედან 51,529,750,000 ათასი მან. მალიარიასთან საბრძოლველათ და 29,971 მილიონი და 317.000 მ. სამრეცხაო-აბანოების მოსაწყობათ.

— **უცხო ენის კურსები.** განათლების კომისარიატის თაოსნობით ახლო ხანში ტფილისში (გუნიბის ქ. № 46) გაიხსნება უცხო ენების—ფრანგულის, ინგლისურის და გერმანულის—კურსები აღნიშნულ ენათა შესწავლის პრაქტიკული განყოფილებებით.

— **სახელოსნოების გახსნა საბავშვო სახლებთან.** განათლების კომისარიატის სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის განყოფილება შეუდგა საბავშვო სახლებთან სახელოსნოების მოწყობას.

— **პოლიგრაფიული მრეწველობის სკოლა.** განათ. კომისარიატთან არსებულ მუშათა ფაკულტეტების განყოფილება პოლიგრაფიულ განყოფილებასთან ერთად ტფილისში აწყობს პოლიგრაფიული მრეწველობის საქარხნო-სადაზგო შეგირდთა სკოლას ქართული და რუსული განყოფილებებით.

— **სანიტ. განათლების სკოლის გახსნა.** სანიტ. განათლების სახლის საზეიმო გახსნა მოხდება 6 ნოემბერს წარმოდგენა-კონცერტით.

— **ლექციები პროფჰიგიენის შესახებ.** განზრახულია ახლო ხანში ტფილისში, ყველა პროფკავშირებში მოეწყობილ იქნეს მთელი რიგი ლექციებისა პროფესიონალურ ჰიგიენაზე.

— **ფართლეულობა დაზღვეულ მუშებისათვის.** ამიერკავკასიის მომხმარებელ საზოგადოების კოოპერატივი ამ დღეებში როსტოვიდან მიიღებს 3 ვაგონ ფართლეულობას, რომელიც განაწილებული იქნება დაზღვეულ მუშებს შორის.

— **რძით მომარაგება.** ამიერკავკასიის მომხმარებელ საზოგადოების კოოპერატივს განზრახვა აქვს თავის წევრების რძით მომარაგების მიზნით ალექსანდროპოლში დაარსოს მერძეობის ფერმები.

შემთხვევები.

— დაჭრა. 28 ოქტ. გოგოლის ქუჩაზე ჩხუბის დროს მოქ. ალაჯანოვმა სასიკვდილოთ დასჭრა მოქ. რასოევი.

— ცეცხლი. 27 ოქტომბერს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 157 სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც მცხოვრებლების ენერგიული ზომებით ცეცხლის მქრობელი რაზმის მისვლამდე ჩაქრობილ იქნა.

— ბოროტმოქმედება. 27 ოქტ. ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სალაროდან დაკარგული აღმოჩნდა სამი მილიარდი მან.

— ქურდობა. 27 ოქტომბერს გაქურდეს მოქ. შატნიკოვის ბინა (ჩერქეზიშვილის ქ. № 96), საიდანაც წაიღეს სხვადასხვა ნივთები რამოდენიმე მილიარდის.

— ქურდების შეპყრობა 27 ოქ. შეპყრობილ იქნა ვასილ შტეტინინი, რომელსაც ბრალი ედება სხვადასხვა ქურდობის ჩადენაში.

— ბინის გაძარცვა. 27 ოქტომ. გაძარცვეს მოქ. ანნა ფრელიტინის ბინა (სადგურის ქუჩა 22), საიდანაც წაღებულია სხვადასხვა ნივთები ღირებული ორი მილიარდი მან.

ხელოვნება

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის ლიტერატურული ორშაბათი.

29 ოქტომბერს ხელოვანთა სასახლეში გაიმართა საქ. პროლეტ. მწერალთა კავშირის მორიგი ლიტერატურული ორშაბათი. მოხსენება გააკეთა სანდრო ეულმა „პროლეტარულ პოეზიის ფრონტის" შესახებ. მთელი მოხსენება ფაქტების მოყვანით იყო გაკეთებული, მაგრამ მასალა ვერ იყო სათანადოთ დამუშავებული.

მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ანდღულაძემ, კალანდარიშვილმა, ზომლეთელმა, ლისაშვილმა და ვაკელმა. კარგი იქნება თუ პროლეტარული პოეტები ზოგჯერ ამ მოხსენებას ლექსთა კითხვასაც მოაყოლებენ.

მარჯანი.

— **პროლეტარულ პოეტის აკოფ აკოფიანის იუბილეს გადადება.** პროლეტარულ პოეტის აკოფ აკოფიანის იუბილეს მომწყობი ცენტრალური კომისიის დადგენილებით სხვადასხვა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო გადადო 2 დეკემბრისათვის.

— **გაზ. „რუბიკონი".** გამოვიდა გაზ. „რუბიკონის" მორიგი ნომერი გაზეთი მიძღვნილია ლადო მესხიშვილის ხსოვნას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის

სავალდებულო დადგენილება

კომ-კავშირის ნიშნების დამზადების და გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

1. აიკრძალოს დამზადება და გაყიდვა საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ყოველგვარ ნიშნებისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად.

2. ამ დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პირი დაისჯება დატუსაღებით ერთ თვემდე, ანდა ჯარიმით ათ ბაჯაღლომდე (ჩერვონცი).

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
მოადგილე ტალახაძე.
საქმეთა მმართველი თაზიშვილი.
26 ოქტომბერი 1923 წ.
ქალ. ტფილისი.

დადგენილება № 113

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი ნადირობის შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის 28 ივნისის თარიღითა და მე-10 № ით გამოცემული დეკრეტის მე-8 მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნადირობის შესახებ 1922 წლის ივნისის 28 თარიღითა და მე-10 №-რით გამოცემული დეკრეტის მე-8 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

8. მონადირეთა კავშირის საწევრო ბილეთით მის პატრონს უფლება ეძლევა:

ა) იქონიოს, ატაროს და სანადიროდ იხმაროს ყველა სახისა და ყალიბის სანადირო იარაღი, მჭრელი იარაღი, სანადირო მასალა, ხელსაწყო, გაწყობილება და ფრინველ-ნადირის საჭერი იარაღი იმ რაოდენობისა, რაც საჭირო იქნება პირადი გამოყენებისათვის.

ბ) ინადიროს ყველგან რესპუბლიკის ფარგლებში, გარდა დასახლებული ადგილებისა, საკარმიდამო ნაკვეთებისა, ალკვეთილ ტყისა და ყველა სხვა იმ ადგილისა, სადაც ნადირობა მოწესრიგებულ იქნება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული განსაკუთრებული წესებით.

8. ა—აკრძალულია ხმარება სამხედრო ყალიბის ვაზნებისა და სამხაზიანი თოფისა, რანაირადაც შეცვლილი და ნადირობისათვის მოგვარებული უნდა იყოს ერთიც და მეორეც.

8. ბ—შეიძლება შენახვა, ტარება და სანადიროდ მოხმარება დალარული თოფისა, რომლის ნიმუშიც აღნიშნულია სანადირო პრეისკურანტში, გარდა გერმანიისა, ავსტრიისა, რუმინიისა და იაპონიის სისტემის საკეტიანი თოფისა, აგრეთვე ნებადართულია ყველა სისტემის რევოლვერის შენახვა, ტარება და მოხმარება ნადირობის დროს თავის დასაცველად, ხოლო ყოველ ცალკე შემთხვევაში აღებულ უნდა იქნეს სათანადო დაწესებულების ნებართვა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.
საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.
1923 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, 31 ოქტომბერს, დღის 1 საათზე, შესდგება ცენტრალურ კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ფართო კოლეგიის სხდომა.

დღის წესრიგი:

1. სტუდენტობის დახმარების კვირეულის შესახებ.
2. პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს მოხსენება.

წინადადება ეძლევა ყველა წევრებს და კომუნისტურ სტუდენტობის ბიუროს, ც. კავშირის ს. მ. უ. ს., მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის და განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებს გამოცხადდნენ სხდომაზე დაუგვიანებლივ.

ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი ატყობინებს, რომ დღეს, 31 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში შესდგება მესამე რაიონის წევრების და კანდიდატების საერთო კრება.

მდივანი: ვარტაპეტიანი.

— **საქართ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომი**, იტყობინება, რომ დღეს, 31 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 96) შესდგება 2-ე რაიონის ყველა საშეფო კომისიების თათბირი.

საშეფო კომისიების ყველა წევრების დასწრება მთელი შემადგენლობით აუცილებელია.

დღის წესრიგი:

1. მოხსენებები ადგილებიდან საშეფო კომისიების მუშაობის შესახებ.
2. საშეფო კომისიის შემდეგი მუშაობის გეგმა.

იმ უჯრედებიდან, რომელთაც არ დაუწესებიათ შეფობა ამა თუ იმ სოფელზე—გამოცხადდნენ უჯრედების მდივნები.

საშეფო კომისიამ უნდა დაამზადოს მოხსენება შესრულებულ მუშაობის შესახებ.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

— ოთხშაბათს, 31 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში მოხდება სხდომა საზეიმო კომისიისა ოქტომბრის რევოლიუციის მე-6 წლის თავის დღესასწაულის გამო. სავალდებულოა კომისიის ყველა წევრთა დასწრება.

კომისიის თავმჯდომარე მ. ესსენი.

— ხუთშაბათს, 1 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე მოხდება სხდომა ოქტომბრის დღესასწაულის მომწყობი კომისიისა.

მოიწვევიან წარმომადგენელნი: საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებისა, ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტისა, კავკასიის ცალკე არმიის პოლიტგანყოფილებისა, ქართული დივიზიის პოლიტიკურ განყოფილებისა, ამიერ-კავკასიის საგზებო კომისიის პოლიტ-სეკრეტარიატისა, კომუნ. ახალგ. კავშირისა, ქალაქის კომენდატურისა და საუბნო კომიტეტებისა.

კომისიის თავმჯდომარე მ. ესსენი.

განცხადებები

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

დღეს, 31 ოქტ. ოპერა „დუბროვსკი"
ხუთშაბ. 1 ნოემბ. ოპერა „ევგენი ონეგინი"
პარასკ. 2 ნოემბ. ოპერა „სოფლის პატიოსნება" და „ჯამბაზები"
შაბათს, 3 ნოემბ. ოპერა „ფაუსტი" პროფკავშირთათვის
კვირა, 4 ნოემბ. ოპერა „კარმენი"
ადგილების ფასები 12,600,000 მ. 1,300,000 მან. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადმინისტრატორი პუშკოვი.
705—1—1

მიიღება კოლექტიური ხელის მოწერა ყოველთვიურ სამეცნიერო კრებულ

„ჩვენი მეცნიერება"-ზე

კრებული გამოდის ყოველ თვეში მოდიდო ფორმატის და თითო ნომერი ღირს არა უმეტეს 65 კაპ. ჩერვ. საშუალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მასწავლებლებს და ბიბლიოთეკებს, 15 პროც. დაკლებით. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა სწარმოებს კრებულის კანტორაში კადეტის ქ. № 6, ყოველდღე დ. 9—11 საათ. და კოოპერატივ „კომუნაში" რუსთაველის პრ. № 40.

სექტემბერ—ოქტომბრის ნომერი (№ 4—5) დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ შემდეგი შინაარსით.

ს. გორგაძე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში.
პროფ. კ. კეკელიძე, ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსი და მისი ისტორია;
დოც. გრ. ნათაძე, მსხვილი მიწათმფლობელობა უძველეს საბერძნეთში.
პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV; მე-XV—XVI საუკუნოები.
ტფ. სახელ. უნივ. 1923|24 სამოსწავლო წელი და სხვ.

ფასი 65 კაპ. ჩერვ.

საერთოდ კრებული შეიცავს შემდეგ დარგებს, რომელთა რედაქტორებად მოწვეულნი არიან შემდეგი პირნი:

1. პროფ. შ. ნუცუბიძე—ფილოსოფია და სოციალური მეცნიერება.
2. პროფ. დ. უზნაძე—ფსიქოლოგია და პედაგოგიკა.
3. პროფ. გ. ახვლედიანი—ენათმეცნიერება.
4. დოცენტი გ. ნათაძე—ისტორია.
5. პროფ. კ. კეკელიძე—სიტყვიერება.
6. პროფ. გ. ჩუბინაშვილი—ხელოვნება.
7. პროფ. ა. რაზმაძე—მათემატიკური დარგები.
8. დამსახ. პროფ. პ. მელიქიშვილი—ფიზიკა, ქიმია, მინერალოგია და გეოლოგია.
9. პროფ. ი. ბერიტაშვილი—ბიოლოგიური დარგები.
10. პროფ. ს. გოგიტიძე—სამკურნალო მეცნიერება.

გარდა ამისა კრებულში მოთავსდება სამეცნიერო მიმოხილვა და ქრონიკა სათანადო დარგთა რედაქტორების ხელმძღვანელობით.

მასალების გადმოგზავნა შეიძლება კადეტის ქ. № 6 და აგრეთვე ტფ. სახელ. უნივერსიტეტში პროფ. გ. ახვლედიანის სახელზე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. შილაკაძე.
94 5—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენის კაბინეტით
მიხეილ ზედგენიშვილის ხელმძღვანელობით
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდით ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
(1252—25—20)

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის
გ. დ. ხანცინის
მედიცინის ექიმის **ვ. ვ. შენგელიძის**
მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან—4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტეინის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) ტელ. № 18—14.
(46—25—12)

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა
რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა
ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
78 25—4

დაიკარგა შრომის ბირჟის წიგნაკი ნესტორ კერესელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 93 1—1

დაიკარგა პასპორტი № 131 სერგო მახარობლიძის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად. 92 1—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 6558 და სიმწიფის მოწმობა მიღებული ყოფ. წმინ. ნინოს სასწავლებლიდან № 728 ვალენტინა ძიძავასი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 91 1—1

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.